ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი — კვირა, 2 — 3 ნოემბერი, 2019

№260 (8214)

ფასი: 60 თეთრი

## „პატრიარქის შესაძლო ლიკვიდაციაზე განცხადება მეუფე იაკობმა მეორე დღესვე უარყო“

რატომ არ დაიწყო გამოძიება მეუფის განცხადებების საფუძველზე



გვ.5

# ნიკა გვარამიას პროკურატურამ ახალი ბრალდება წარუდგინა



გვ.2

„ჩემი ამოცანა ივანიშვილის საქართველოდან წასვლა ან ციხეში მოხვედრაა“

## „რუსთავი 2-ს მალე დახურავენ“

## „ვანო ჩხარტიშვილმა შეიძლება ბიძინა ივანიშვილის ადგილის დაკავება მოინდომოს“



გვ.3



სანდრო ბრეგაძე: „პეტრესა და იაკობის ბრძოლის შედეგად შორენა თეთრუაშვილი ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი გახდა“

## „საპატრიარქოს დღევანდელი ფორმა წარსულის გადმონაშთია“



გვ.3

დავით ბერძენიშვილი: „დიდი საეკლესიო კრების მოწვევაა საჭირო“

გოგი წულაია:

## „ყველა პოლიტიკოსი ცდილობს ქულების ჩაწერას ეკლესიის თემაზე“



გვ.4

„ქვეყანა საბჭოურად იმართება“

## თენგიზ დიხამინჯია: „ეკლესიაში ვითარება კატასტროფულია“



გვ.4

## სალომე სამადაშვილი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება“



გვ.2

„შეწყალებების სკანდალი პირდაპირ ივანიშვილს უკავშირდება და მან პრეზიდენტის გაკონტროლება გადაწყვიტა“

## სუსის უფროსი ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

გვ.2



ISSN 1987-9385

5

**ქარელში დევნილთა კორპუსში გაზი აფეთქდა**

დაშავდა 60 წლის მამაკაცი

5

**ყაჩაღობაში ბრალდებულს 6 წელი მიესაჯა**

ა.ლ.-მ სავაჭრო ჯიხურიდან 950 ლარი გაიტაცა

5

**რაიან სმიტის დედამ მალხაზ კობაურს დანაშაული აპატია**

კობაურს სმიტების ოჯახთან შეხვედრა სურს

6

**ისლამური სახელმწიფო: „აშშ-სა და მის ურჯულო ძმებზე შურს ვიძიებთ!“**

# სალომე სამადაშვილი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება“

## „შეწყალებების სკანდალი პირდაპირ ივანიშვილს უკავშირდება და მან პრეზიდენტის გაკონტროლება გადაწყვიტა“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, პატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებით სათათბირო ორგანო უნდა შეიქმნას. შესაბამის პროექტს პარლამენტი განიხილავს. ეს მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა თავადვე გააუქმა შეწყალების კომისიაც და შეწყალებებზე გადაწყვეტილებას თვითნებურად, საკუთარი შეხედულებების მიხედვით იღებდა. მაშინ პრეზიდენტმა სარეკომენდაციო კომისიის საჭიროება ვეღარ დაინახა. შესაბამისად, მან არაერთი სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო და მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები ციხიდან გამოუშვა.

რასთან გვაქვს საქმე? იკვეცება თუ არა პრეზიდენტის უფლებები, რომლებიც ისედაც შეზღუდულია, რა ბედი ელის დეკანოზ გიორგი მამალაძეს და მოიხსნება თუ არა დღის წესრიგიდან სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის საკითხი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **სალომე სამადაშვილი** საუბრობს.

***– პრეზიდენტს აქვს ინიციატივა პატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებით, რომ სათათბირო ორგანო უნდა შეიქმნას. რასთან გვაქვს საქმე?***

– პრეზიდენტს ჰქონდა შეწყალების უფლება, მაგრამ ის მისი მხრიდან ბოროტად იყო გამოყენებული. დღემდე ძალიან სერიოზული შეკითხვები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ჰქონდა თუ არა ადგილი რეალურად კორუფციულ გარიგებებს შეწყალებების ამ პროცესში.

როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილმა ხელისუფლებას საკმაოდ დიდი დისკომფორტი შეუქმნა და იმის ნაცვლად, რომ რეალურად გამოიძიონ, რა მოხდა შეწყალებების სკანდალებთან დაკავშირებით, იმის ნაცვლად, რომ დაადგინონ, ხდებოდა თუ არა სამართალდარღვევის



ფაქტები, გადაწყვიტეს, რომ ასეთი პროცესი შეექმნათ.

როგორც მე ვფიქრობ, ეს უბრალოდ შეუზღუდავს შესაძლებლობებს მომავალში, რომ ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები შეწყალების შესახებ და ფაქტობრივად ის დაუქვემდებარეს წულუკიანის კონტროლს ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– რამდენად გამართლებულია ეს თუნდაც პოლიტიკური თვალსაზრისით? იმ ვითარებაში, როდესაც მისი უფლებები ისედაც შეზღუდულია?***

– ეს გამართლებული იქნებოდა მაშინ, თუ ჩატარდებოდა რეალური გამოძიება. საქმე უნდა იყოს აღძრული და რეალური გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს შეწყალებების საქმეებთან დაკავშირებით.

ივანიშვილი იმ გზით მიდის, რომ შეზღუდოს ყველანაირი დამოუკიდებლობის ხარისხი ყველა ინსტიტუციაში. ამ თვალსაზრისით პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინება გრძელდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ხელს უწყობს ივანიშვილის მიერვე საქართველოს პრეზიდენტად ხელდასხმული სალომე ზურაბიშვილის და მისი აპარატის ქმედება, რაც გამოიხატება შეწყალების საქმეებთან დაკავშირებით.

***– ესეც ივანიშვილის მიერ მოფიქრებული სქემაა?***

– დიახ, მე ვფიქრობ, რომ ეს არის მისი შეზღუდვის სქემა. ეს არის მიმართული იქითკენ, რომ პრეზიდენტის დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო შეიზღუდოს, რაც გამოიხატება შეწყალების უფლებამოსილებაში. პრეზიდენტს ისედაც ცოტა უფლებამოსილება დარჩა კონსტიტუციის ახალი მოდელით და ეს გამოიწვევს იმ უფლებამოსილების კიდევ უფრო შეზღუდვას, რაც ჰქონდა დარჩენილი.

***– თანმიმდევრულობასთან დაკავშირებითაც ხომ არ ჩნდება კითხვის ნიშნები? ვგულისხმობ იმას, რომ პრეზიდენტს ჰქონდა შეწყალების კომისია, მაგრამ დაითხოვა. თვითნებურად იღებდა გადაწყვეტილებებს და ვნახეთ ეს და შემდეგ სხვანაირად დაიწყო საუბარი.***

– დიახ. მე ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილს არ მიუღია ეს გადაწყვეტილება და, საერთოდ, როგორ შეიძლება სალომე ზურაბიშვილმა რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად?! ის იყო ბიძინა ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატი, შესაბამისად ის სკანდალი, რაც უკავშირდება სალომე ზურაბიშვილის მხრიდან შეწყალების უფლებამოსილების გამოყენებას, პირდაპირ უკავშირდება ბიძინა ივანიშვილს და ამიტომ გადაწყვიტა, რომ უკეთესად გააკონტროლოს მის მიერ საქართველოს პრეზიდენტად შერჩეული კანდიდატი.

ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტად არ მიაჩნია, ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ზურაბიშვილი მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომია, რომელიც პრეზიდენტად დაასახელა და შემდეგ უკვე დანიშნა.

***– დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით როგორია თქვენი შეფასება? სინოდმა დააყენა მსჯავრდებული დეკანოზის შუამდგომლობა, რომ პრეზიდენტმა შეიწყალოს. როგორ უყურებთ ამ პროცესს, მაშინ, როცა მორატორიუმი აქვს გამოცხადებული პრეზიდენტს შეწყალებებზე? გაიწელება პროცესი და მოუწევს ციხეში ჯდომა?***

– იცით რა? ამაზე არ მაქვს მკაფიო პასუხი იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს მამაოების საქმესთან დაკავშირებით და ბევრი რამე ბუნდოვანია. ვნახოთ, შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი მას და რას იტყვის მას შემდეგ, რაც ის დატოვებს საპყრობილეს. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ბევრი რამე უფრო ნათელი გახდება.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო ის, რაც სინოდმა მიიღო?***

– რომელ გადაწყვეტილებას გულისხმობთ?

***– დეკანოზის შეწყალების შუამდგომლობაზე.***

– რა დეტალები იყო და რა მსჯელობა გაიმართა მამაოების საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტულად რა არგუმენტები მოისმინა და რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება? ამ კითხვებზე პასუხი არ მაქვს, ამიტომ ამაზე გამიჭირდება კომენტარის გაკეთება.

***– სინოდმა მხოლოდ მას შემდეგ დააყენა ეს შუამდგომლობა, რაც პრეზიდენტმა მორატორიუმი გამოაცხადა შეწყალებებზე. კავშირს ვერ ხედავთ?***

– არ ვიცი. ვერ გეტყვით. მე არ ვიცი დეტალები, რა ლოგიკა ჰქონდა სინოდის გადაწყვეტილებას, თუმცა შემიძლია ვთქვა ის, რომ უკვე დიდი ხანია, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავებასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ბევრ რამეზე მოვისმენთ პასუხს მას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნიკა გვარამიას პროკურატურამ ახალი ბრალდება წარუდგინა

## „ჩემი ამოცანა ივანიშვილის საქართველოდან წასვლა ან ციხეში მოხვედრაა“

1 ნოემბერს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ყოფილ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას ახალი ბრალდება წარედგინა.

ბრალის წარდგენის მიზნით, ნიკა გვარამია პროკურატურაში საღამოს 7 საათისთვის დაიბარეს.

გვარამია პროკურატურაში საკუთარი ძაღლით მივიდა.

– შეიძლება წყალტუბო მოიპარო, მაგრამ გვარამია ვერ დააკავო, – თქვა მან პროკურატურაში შესვლამდე.

ამ დროისთვის მისთვის ცნობილი არ იყო, რას ედავებოდნენ.

– სულ ვფიქრობ, რომ ძველი თანამდებობრივი დანაშაულები ხომ არ არის, მაგრამ აშკარად სხვა მუხლია – 220-ა. გადავწყვიტე ტყუილად აქ სიარულს, სჯობს ძაღლი გამოვასეირნო ხოლმე, ამისთვისაც ვერ ვიცლი და აწი სულ ძაღლით მოვალ.

ვერ ვაკადრებ ედგარს იმას, რომ შევიყვანო და მას მოვასმენინო, იქნებ რამე გაიგოს. იქნებ ჩამოვიდე ედგარის მეშვეობით ევოლუციის კიბეზე ცოტა დაბლა და იქნებ მან უფრო კარგად გაარკვიოს, რას გვედავებიან, – დაამატა გვარამიამ.

მისი აზრით, ეს ბრალდება წაყენებულია იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილმა მოწინააღმდეგეები გაანეიტრალოს.

– მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან აღნიშნა, რომ მისი დაკავება ივანიშვილს სულ უნდა, მაგრამ არ გამოსდის.

– შეიძლება წყალტუბო მოიპარო, მაგრამ გვარამია ვერ დააკავო, – თქვა გვარამიამ პროკურატურაში შესვლამდე.

* * *

ამასობაში პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნიკა გვარამიასადმი წარდგენილი ახალი ბრალდების დეტალებზეა საუბარი.

მასში ნათქვამია:

„2019 წლის თებერვალში შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა „პორშეს ცენტრში“ მისი და მისი ოჯახის პირადი სარგებლობისთვის შეარჩია 76.700 ევროდ ღირებული ახალი ავტომობილი ,, ორცჰე აცან შ“, რომლის შეძენის მიზნით, ნიკა გვარამიამ მისი ნდობით აღჭურვილი პირის – ზ.გ.-ს მეშვეობით, ავტომანქანის მფლობელი საწარმოს ხელმძღვანელებს, ტელეკომპანიის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ შესთავაზა, რომ ავტომობილის შეძენას განახორციელებდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში მათი სარეკლამო რგოლების განთავსების ღირებულების სანაცვლოდ.

ასევე, ნიკა გვარამიასა და მისი ოჯახის წევრებისთვის ავტომანქანის წინასწარ სარგებლობაში გადაცემისა და ე.წ. „ბარტერზე“ დათანხმების მიზნით, ხსენებულ კომპანიას დამატებით შესთავაზა როგორც ავტომობილის ღირებულების სანაცვლოდ გასაშვები სარეკლამო რგოლების, ასევე სამომავლოდ მათი სხვა სარეკლამო რგოლების ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საეთერო დროში შეღავათიან/დაბალ ფასად განთავსება, სარეკლამო სააგენტო შპს ,,პროესკო მედიას“ მეშვეობით.

შეთანხმებისამებრ, 2019 წლის 27 თებერვალს, ,,პორშეს ცენტრსა“ და შპს ,,პროესკო მედიას“ შორის, გაფორმდა ავტომანქანა ,,Porche Macan S“-ის ნასყიდობის ხელშეკრულება ღირებულებით – 76.700 ევრო, რომლის საფუძველზეც ავტომანქანა ნიკა გვარამიასა და მისი ოჯახის ფაქტობრივ საკუთრებაში გადავიდა, ხოლო ფორმალურ მესაკუთრედ შპს ,,პროესკო მედია“ დაფიქსირდა.



„რუსთავი 2-ს მალე დახურავენ“

იმავე დღეს, ,,პორშეს ცენტრსა“ და შპს ,,პროესკო მედიას“ შორის, გაფორმდა სარეკლამო მომსახურებაზე ხელშეკრულება, ღირებულებით – 76.700 ევრო, რომლის ფარგლებშიც, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში რეკლამის განთავსება შეთანხმებისამებრ ხდებოდა შეღავათიან/დაბალ ფასად.

მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილის მფლობელი საწარმო ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სრულად უხდიდა კონტრაქტორ საწარმოს – შპს ,,პროესკო მედიას“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარეკლამო ღირებულებას, კომპანია, შეთანხმებისამებრ, მნიშვნელოვნად ამცირებდა რუსთავი 2-ში, ზემოაღნიშნული კომპანიის შესაბამისი ბრენდის, რეკლამის განთავსების სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა ტელეკომპანიას.

ზემოაღნიშნული ქმედებებით, ნიკა გვარამიამ და მისმა ოჯახმა, ფაქტობრივ საკუთრებაში მიიღო ძვირადღირებული ავტომობილი – ,,Porche Macan S“, ხოლო შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა განიცადა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.“

* * *

ნიკა გვარამიამ ახალ ბრალდებაზე კომენტარი პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ გააკეთა.

– ჩემი ამოცანა და მისია ივანიშვილის ამ ქვეყნიდან წასვლა ან ციხეში მოხვედრაა, – განაცხადა მან.

გვარამიას აზრით, პროკურატურის ახალი ბრალდება აბსოლუტურად დაუსაბუთებელია.

– რასაც ვწინასწარმეტყველებდით, არ არის რთული გამოსაცნობი. მანქანა მე არ მიყიდია, იყიდა ჩემმა მეუღლემ, რომელიც საერთოდ დაკითხული არ არის. საერთოდ პროკურატურას ჩვევაში აქვს, მე არ დამკითხოს და ბრალი ისე წამიყენოს. ამჯერადაც არ ჩათვალეს საჭიროდ.

საქმე იმაშია, რომ ეს მანქანა ნაყიდი მაქვს. მე ერთადერთი კითხვა მაქვს პროკურატურასთან – პრემიის სახით რომ ამეღო ან მანქანა, ან თანხა და მერე ეს მანქანა მეყიდა, რას შვრებოდნენ, სად მიდიოდნენ? ანუ დანაშაულის შემადგენლობა ხომ არ დგებოდა? ამაზე პასუხი არ არის, – აღნიშნა გვარამიამ.

პროკურატურის ვერსიაში დანაშაულად რა ითვლება?

ამ კითხვაზე გვარამიამ უპასუხა, რომ ამბობს, რომ წარმოდგენა არ აქვს.

– ჯერ არ მქონდა ნაყიდი, მქონდა განვადებით, ვერ გადავიხადე, დავაბრუნე უკან, ვიხდი ჯარიმას. ეს არის მთელი ისტორია. ჩემი კონტრაქტორი კომპანიებისგან მე არაფერი არ მიყიდია, თუმცა ამის უფლება მქონდა და მიყიდია არაერთგზის. მაგრამ ეს მანქანა, რაც მთავარია, ვიყიდე მე, ჩემი გადაწყვეტილება იყო.

არ დაგიმალავთ, ბრალი რომ წაეყენებინათ იმაზე, რომ „ტოიოტას ცენტრს“ ეს მანქანა ძალით ჩავადებინე სარეკლამო ბიუჯეტში, რომ მერე მეყიდა და „რუსთავი 2“-საც შემოსავალი ჰქონოდა და მეც მანქანა, ეს უფრო რელევანტური იქნებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბრალი არის სხვა, – განაცხადა გვარამიამ.

მისივე შეფასებით, საქართველოს პროკურატურა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია.

– ვწუხვარ, მაგრამ აი, ამ ახალგაზრდა ბიჭებსაც, ვინც ბრალს მიყენებს და იცის, რომ ამას უკანონოდ აკეთებს, ვხედავ ციხეში, – განაცხადა გვარამიამ და დასძინა, რომ თუ მას დააკავებენ, ეს იქნება მისი დროებით განეიტრალება.

– თუ დამაკავებენ, იქნება ეს ჩემი განეიტრალება დროებით, მაგრამ ივანიშვილის განეიტრალება ბევრად უფრო ახლოს მოიწევს. მე პირადად ეს მაწყობს. ჩემი ამოცანა და მისია არის ივანიშვილის ამ ქვეყნიდან წასვლა ან ციხეში მოხვედრა.

დიდი აზრი ამას არ აქვს, უბრალოდ, ქვეყნისთვის როგორც ჯობია, ისე მოვიქცევი ყოველთვის არა მხოლოდ ივანიშვილის შემთხვევაში. კი ბატონო, ისე მოიქცეს როგორც უნდა. მთავარი ის არის, ვინ გაიმარჯვებს ბოლოს და ეს მე ვარ, რა თქმა უნდა! – განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, ახალი ბრალი ქმნის იმის საფუძველს, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გაკოტრების ლეგიტიმური საფუძველი შეიქმნას.

– ეს საფუძველი მალე იქნება და „რუსთავი 2“-ს დახურავენ. მე არ ვიდარდებ ბევრს თუ ამ კომპანიას დახურავენ, რადგან ვიცი, რომ მოვა დრო, მას მფლობელი დაიბრუნებს და იმუშავებენ ის ადამიანები, ვინც ნამდვილად იმსახურებს და არა ისინი, ვინც დღეს მუშაობს.

თუმცა მე ამაზე აღარ ვიფიქრებ, იფიქრონ იმათ, ვინც ყველაფერი გაყიდეს „რუსთავი 2“-ის ჩათვლით, სინდისის ჩათვლით, – დასძინა ნიკა გვარამიამ.



# სუსის უფროსი ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გრიგოლ ლილუაშვილმა საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩთან, ბაურჟან მუხამეჯანოვთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი იერბოლ ბორინი.

მხარეებმა საქართველოსა და ყაზახეთის შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებასა და ორი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. გრიგოლ ლილუაშვილმა და ბაურჟან მუხამეჯანოვმა საქართველოსა და ყაზახეთის უსაფრთხოების სამსახურებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საინფორმაციო სამსახური – ჯუნა ბალიაძე
დიზაინერი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
კორექტურის სამსახური – მერაბ ლეჟავა

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვანო ჩხარტიშვილმა შეიძლება ბიძინა ივანიშვილის ადგილის დაკავება მოინდომოს“

## სანდრო ბრეგაძე: „პეტრესა და იაკობის ბრძოლის შედეგად შორენა თეთრუაშვილი ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი გახდა“

ნონა ცაბაძე

ეკლესიის ირგვლივ განვითარებული პროცესები ბოლო დღეებია, აქტუალობას არ კარგავს. საზოგადოებამ არაერთი სკანდალური განცხადება მოისმინა. „ახალ თაობას“ საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებულ პროცესებზე ესაუბრება „ქართული მარშის“ ლიდერი **სანდრო ბრეგაძე**, რომელიც არაერთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს.

*– პრემიერ-მინისტრი გახარია მივიდა პატრიარქთან შესახვედრად და ძალიან მალე დატოვა საპატრიარქო. გამოვიდა ინფორმაცია, რომ ის პატრიარქმა არ მიიღო.*

– უახლეს ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილის და 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ საქართველოს ალბათ ყველაზე მძიმე ჟამი უდგას. პირველად ღიად გამოჩნდა ის დიდი შეტევა და განხეთქილება, რომელიც არსებობს ჩვენი ეკლესიის ირგვლივ.

ამ ყველაფერს მართავს უხილავი ხელი, რომლის მიზანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევა და, პირველ რიგში, დანაწევრება. ამ გეგმის მთავარი შემადგენელი არის ის, რომ საქართველოში გამოჩნდეს რამდენიმე ეკლესია, ე.წ. მართლმადიდებლური ეკლესიები, რომლებიც იქნებიან სხვადასხვა პატრიარქს დაქვემდებარებულები.

*– ერთიანი ეკლესია რომ დაიყოს?*

– რა თქმა უნდა, დაახლოებით იმავენაირად, როგორც ეს თავის დროზე უკრაინაში მოხდა. უკრაინის ეკლესია სამ ნაწილად გაიყო. ანალოგიური პრობლემებია საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიაშიც.

*– ვინ ურევს სიტუაციას? მეუფე პეტრე გადააყენეს, მეუფე იაკობი კი გააფრთხილეს და აპატიეს. რატომ არ დაიწყო მის განცხადებებზე გამოძიება?*

– უმძიმეს ცოდვაში ადანაშაულებენ სასულიერო პირები ერთმანეთს და ათას სიბინძურესა და სიბილწეს უკეთებენ ტირაჟირებას. ეს ყველაფერი არის იმ ხელისუფლებების ბრალი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ქვეყანას მართავდნენ. ეს უხილავი ხელი არის საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელიც როგორც მარიონეტებს, ისე მართავს ადამიანებს და თავიდან ბოლომდე მართავს სიტუაციას. მისი მიზანი არის მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევა.

*– ბევრი ამ იდუმალ ხელში რუსულ კვალს ხედავს.*

– ამ სიტუაციას თავის ხელს არ აკლებს არც რუსეთი და არც ამერიკა. არავის აწყობს, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იყოს ძლიერი. მათ მშვენივრად იციან, რომ საუკუნეების განმავლობაში სწორედ მართლმადიდებლობაა ის ქვაკუთხედი, რომელზეც შენდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა.

*– მართლა უნდოდათ გახარიას, კვირიკაშვილსა და გომელაურს პატრიარქის გადაყენება?*

– მე არ მგონია, რომ გახარია და განსაკუთრებით გომელაური ყოფილიყვნენ ამ საკითხებში ჩართული. მე ვიცი მათი დამოკიდებულება მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. თუმცა ამ კითხვაზე პირველ რიგში მათ უნდა გასცენ პასუხი. რაც შეეხება კვირიკაშვილსა და იმ ბიზნესმენებს, რომლებიც იქ იყვნენ ნახსენები, არ გამოვრიცხავ, რომ ეს განზრახვა ჰქონოდათ.

მე მითხრეს თავის დროზე, რომ ვანო ჩხარტიშვილი იყო ჩაბმული პატრიარქის გადაყენების პროცესში. საკმაოდ დიდი ხნით ადრე მქონდა ეს ინფორმაცია. მას თავისი კანდიდატი ჰყავს და მოგვიანებით ამასაც ვიტყვი.

*– ყველგან ჩხარტიშვილის გვარი რატომ ფიგურირებს?*

– იმიტომ, რომ ვანო ჩხარტიშვილი საქართველოში არის ფაქტობრივად მეორე კაცი. ის პრემიერზე, შს მინისტრსა და თავდაცვის მინისტრზე მეტ გავლენას ფლობს.

*– ეს გავლენები მას ივანიშვილმა მისცა. გამოდის, რომ ივანიშვილი ებრძვის პატრიარქს მისი ხელით?*

– მე ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ივანიშვილმა მისცა ეს გავლენები. უფრო ასე ვიტყოდი, რომ ჩხარტიშვილმა შეუსრულა ყველას.

მან ეს მოახერხა ძალიან კარგად შევარდნაძის ხელისუფლების დროს, როდესაც ყველაზე გავლენიანი და ფულიანი მინისტრი იყო. მაშინ მე პარლამენტის დეპუტატი ვიყავი. მან შეუსრულა თავის დროზე სააკაშვილსაც, როდესაც სააკაშვილის კარზე წლების განმავლობაში ის იყო ყველაზე მიღებული პიროვნება, ყველაზე მიღებული ბიზნესმენი.

მან შეუსრულა ბადრი პატარკაციშვილს. ჩვენ კარგად გვახსოვს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის დავა 400 მილიონ დოლარზე, რომელიც დააბრუნებინეს ლონდონის სასამართლოს მეშვეობით ბატონ ჩხარტიშვილს. არ გაგვიკვირდეს, რომ მან შეუსრულოს ბიძინა ივანიშვილსაც.

*– განუდგება ივანიშვილსაც?*

– მას აქვს იმდენი გამოცდილება და ჭკუა, რომ გავლენები მოიპოვოს ყველა მმართველის კარზე, რომლებიც საქართველოს მართავენ. არ გაგიკვირდეთ, რომ ცოტა ხანში ვანო ჩხარტიშვილმა ბიძინა ივანიშვილის ადგილის დაკავებაც მოინდომოს. არ გამოვრიცხავ, მოინდომოს, თავად გახდეს ამ ქვეყნის მმართველი. მას აქვს ამის ამბიციები, აქვს ამის ფინანსები და მომხრეებიც ჰყავს, საკუთარი კლანი ჰყავს.



*– იატაკქვეშა დინებებია თუ ზედაპირზე ამოვიდა ეს ყველაფერი?*

– ზედაპირზეა, აბა სად არის. ვანო ჩხარტიშვილი უკვე მინისტრებს ნიშნავს. ეკონომიკურ ბლოკში მთლიანად მისი მინისტრები არიან. ყველგან მისი ხელქვეითები არიან წამყვან პოზიციებზე, ასევე აქტიურად მონაწილეობს რეგიონული მმართველების დანიშვნის პროცესში. ბიზნესგადანაწილებებს სწორედ ჩხარტიშვილი ახდენს ამ ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, არანაირად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ პროცესში, რომელსაც პატრიარქის გადაყენება ჰქვია, მას მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული. ყველას მინდა მივმართო – ჩვენ ნამდვილად არ გვყავს არც ვანო ჩხარტიშვილისა და არც გიორგი კვირიკაშვილის გადასაყენებელი პატრიარქი!

*– რამდენად დააზარალა ამ პროცესებმა ეკლესია და რას მივიღებთ?*

– ძალიან დააზარალა და ეს იყო სწორედ იმ უხილავი ხელის მიზანი, რომ ეკლესია დაეზარალებინა. ასეთი დარტყმა ეკლესიისთვის დიდი ხანია, არავის მიუყენებია. მეორედ მოსვლის ჟამია.

*– ერთ მხარეს მეუფე იაკობი, მეორე მხარეს – მეუფე პეტრე. ითქვა, რომ ორივე მართულია და მათ მიზანმიმართულად გააკეთებინეს ეს განცხადებები. ვინ არიან ის ძალები, რომლებიც მათ მართავენ?*

– ჩვენ როდესაც ვსაუბრობთ მეუფე იაკობზე, როდესაც ვსაუბრობთ პეტრე ცაავაზე, რა თქმა უნდა, მათ აქვთ დიდი როლი ამ ყველაფერში, მაგრამ მთავარი წარმმართველი ამ პროცესებისა და ამ ყველაფრისა არის შორენა თეთრუაშვილი, რომელიც ჩაბუდებულია საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში.

პეტრესა და იაკობის ბრძოლით ყველაზე მოგებული დარჩნენ შორენა თეთრუაშვილი და ანდრია ჯაღმაიძე. სწორედ ეს ადამიანები არიან ქართველი ეკლესიის მნგრეველები.

ვერც იაკობი, ვერც პეტრე და ვერც სხვა ვერ დაუშავებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იმის 1%-საც კი, რასაც წლების განმავლობაში უშავებდა და უშავებს თავის დროზე საბჭოთა სუკის მიერ ჩანერგილი შორენა თეთრუაშვილი და ახლა კიდევ სხვადასხვა სპეცსამსახურის მიერ იქ ხელდასხმული ანდრია ჯაღმაიძე.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ვინ არის ანდრია ჯაღმაიძე.

*– ვინ არის?*

– ანდრია ჯაღმაიძე არის ჩვეულებრივი კრიმინალი! თქვენ შეგიძლიათ, მის ბიოგრაფიას გადაავლოთ თვალი. ეს არის ე.წ. ძველი ბიჭი, რომელიც ჩვეულებრივი კრიმინალი იყო. ეს ადამიანი დღეს საქართველოს ეკლესიაში შეგზავნილია იმისთვის, რომ ამ კრიმინალურ-ძველბიჭური კუთხით მართოს სიტუაცია. ქურდულად და ძველბიჭურად მართავს საპატრიარქოში სიტუაციას.

წარმოიდგინეთ, რამხელა გავლენები აქვს ანდრია ჯაღმაიძეს, რომ ერთ-ერთი მეუფის ოჯახის წევრის დასაფლავებაზე, პირდაპირ მრევლისა და ხალხის წინ, მიეჭრა პეტრეს და ისეთი სიტყვები უძახა და ისეთი ძველბიჭური გარჩევა მოუწყო, რომ, როგორც იქ მყოფებმა მითხრეს, ნებისმიერ „რამკიან ქურდს“ შეშურდებოდა.

*– მიზანი ყველას ერთი აქვს, რომ გადააყენონ პატრიარქი?*

– რა თქმა უნდა. ძალიან საშიშია, როდესაც შორენა თეთრუაშვილისა და ანდრია ჯაღმაიძის ხელშია ჩვენი პატრიარქი. შორენა თეთრუაშვილი არის უზნეო ადამიანი. მე მთავრობის ყოფილი წევრი ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენს სპეცსამსახურებს უამრავი მასალა აქვთ მისი ძალიან ცუდი ქმედებების შესახებ. ასევე ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ანდრია ჯაღმაიძე კრიმინალია.

პეტრე განკვეთილია ფაქტობრივად, იაკობს ჩამოართვეს ქორეპისკოპოსობა და ამის შემდგომ მისი გავლენა ეკლესიაში ნულს უტოლდება. ამის შემდეგ ეკლესიის ერთპიროვნული მმართველი გახდა შორენა თეთრუაშვილი!

*– ძალიან მწვავე განცხადებებს აკეთებთ. ამ განცხადებებისთვის შეუძლიათ, გიჩივლონ.*

– მიჩივლონ. დიდი სიამოვნებით მივიღებ მათ საჩივარს, იმ სასამართლოზე დავუმტკიცებ ყველაფერს. შორენა თეთრუაშვილი რომ საბჭოთა უშიშროების მიერ არის ჩანერგილი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, მიჩივლოს შორენა თეთრუაშვილმა ამაზე! ის ამას ვერ გაბედავს.

პირდაპირ გეტყვით, რომ ჩემთვის პირადად ზვიად გამსახურდიას აქვს შორენა თეთრუაშვილზე ეს ყველაფერი ნათქვამი და მინდა, ეს მთელმა ქვეყანამ გაიგოს.

*– რა აქვს ნათქვამი?*

– ეს იყო 1991 წლის დეკემბრის დასაწყისი, როდესაც ყველაზე მეტად იყო დაძაბული მდგომარეობა და მთავრობის სასახლეს პუტჩისტები, მხედრიონელები უტევდნენ.

მაშინ იყო სტუდენტების შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი და იმავე შეხვედრაზე რამდენიმეჯერ გაჟღერდა, თუ რა პოზიცია ეკავა ეკლესიას გადატრიალების პერიოდში.

ბატონმა ზვიადმა პირდაპირ გვითხრა, რომ ეკლესია არის პუტჩისტების მხარეზე. ეკლესია არის მხედრიონის მხარეზე, ეკლესია არის ედუარდ შევარდნაძის მხარეზე. შემდგომში, როდესაც მარტონი დავრჩით, მან მითხრა, ზვიადის სიტყვებია ეს: „შორენა თეთრუაშვილი არის საპატრიარქოში ჩაბუდებული ქვეწარმავალი. შორენა თეთრუაშვილი უწევს ყველანაირ მატერიალურ, პოლიტიკურ თუ სხვაგვარ დახმარებას კიტოვანსა და სიგუას“.

*– პატრიარქის გვერდის ავლით?*

– მე რაც მითხრა ზვიადმა, იმ სიტყვებს ვიმეორებ. ზვიადმა მითხრა, რომ შორენა თეთრუაშვილი ყოველთვის ხელს უშლიდა პატრიარქთან ურთიერთობაში. რამდენიმეჯერ ჰქონდა მასთან ურთიერთობის მცდელობა, ესაუბრა კიდეც უწმინდესსა და უნეტარესს. ბევრი საკითხი გავარკვიეო, მაგრამ, როგორც კი სიტუაცია დალაგდებოდა პრეზიდენტ გამსახურდიასა და ეკლესიას შორის, როგორც კი დათბებოდა ურთიერთობა პატრიარქსა და ზვიად გამსახურდიას შორის, შორენა თეთრუაშვილი მაშინვე ერეოდა ამ საქმეში და სიტუაციას რევდა. 1992 წლის 7 იანვარს, როდესაც კანონიერი ხელისუფლება დაამხეს, შორენა თეთრუაშვილმა დიდი სუფრა გადაიხადა, სადაც დაპატიჟა რამდენიმე მღვდელმთავარი, დავლური იცეკვა და ველურივით გაიძახოდა, სატანა გაიქცა, საქართველო თავისუფალიაო. სატანაში ზვიადს გულისხმობდა.

მე რასაც გიყვებით, ეს ყველაფერი ჩემი თვალით მაქვს ნანახი. ადგეს და მიჩივლოს შორენა თეთრუაშვილმა, რომ ასე არ იყო! სწორედ იმ სასამართლოზე დავუმტკიცებ ამ უზნეო დედაკაცს, საბჭოთა სუკის აგენტს, რომ ის არის ამ ყველა უკეთურების შემოქმედი, რაც ამდენი წლის განმავლობაში ხდებოდა.

მიჩივლოს ანდრია ჯაღმაიძემ, რომ ის არ იყო კრიმინალი! მიჩივლოს, რომ დღესაც არ არის კრიმინალებთან და მაფიოზებთან შეკრული და სასამართლოზე დავუმტკიცებ, რომ კრიმინალური ელემენტია!

სხვათა შორის, მე გამაფრთხილეს რამდენიმეჯერ.

*– რის თაობაზე?*

– რადგან შენ ჯაღმაიძეს ამხელ, ფრთხილად იყავი, შეიძლება, შენი ლიკვიდაცია მოახდინოსო.

აი, ამ ადამიანების ტყვეობაშია ხშირ შემთხვევაში სინოდი. იმხელა გავლენები აქვთ და ასეთ დავალებებსაც იღებენ, რომ მათ ორი ძლიერი კლანი დაატაკეს ერთმანეთს, დაახოცვინეს მათ ერთმანეთი და ამ ფონზე მათ ჩაიგდეს ყველაფერი ხელში.

ამ მოვლენებით დაიწყო ბრძოლა, რომ ჩვენი დედაეკლესია რამდენიმე ნაწილად იქნეს გაყოფილი. მე მითხრეს, რომ ემისრები რამდენიმე მღვდელმთავარს გაგზავნილი ჰყავს საბერძნეთში. იქ მიმდინარეობს საუბარი, რომ მათგან მიიღონ კურთხევა.

*– გამოსავალი რა არის ამ მძიმე სიტუაციიდან?*

– ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ – გამოსავალი არის ერთადერთი, ეკლესია უნდა გაიწმინდოს. სინოდის წევრები, მღვდელმთავრების 80% უნდა გაუშვა მონასტრებში ცოდვების მოსანანიებლად და სალოცავად და მათ ნაცვლად უნდა მოვიდნენ დაყუდებული ბერები, ის ბერები, რომლებიც ურმით დადიან, ის ბერები, რომლებსაც არ იზიდავთ ოქრო-ვერცხლი და შავი ჯიპები და რომლებიც არ არიან პოლიტიკური გავლენების ქვეშ. აი, ეს ბერები არიან წმინდა ადამიანები. ისინი უნდა ჩამოვიყვანოთ მონასტრებიდან და ჯიპებსა და ოქრო-ვერცხლს დახარბებული სასულიერო პირები უნდა გავყაროთ ეკლესია-მონასტრებიდან.

თუ ამას გავაკეთებთ, ეკლესია გაძლიერდება და ერიც ეკლესიისკენ შემოტრიალდება.

# „საპატრიარქოს დღევანდელი ფორმა წარსულის გადმონაშთია“

## დავით ბერძენიშვილი: „დიდი საეკლესიო კრების მოწვევაა საჭირო“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპატრიარქოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

*– ბატონო დავით, საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე თქვენი პოზიცია როგორია?*

– „ჭირმა თავი არ დამალა“. საქართველოს საპატრიარქოში სისტემური კრიზისია. ეს სინოდი და ეს ეპისკოპატი არ არის შემძლე, რომ ამ კრიზისს გაუმკლავდეს. საჭიროა საეკლესიო ცხოვრების განახლება.

ასეთი კრიზისების დროს დიდი კრების მოწვევა ხდება. მაგალითად, 1917 წელს დიდი საეკლესიო კრება მოიწვიეს, სადაც სასულიერო პირებიც იყვნენ და საერო, მრევლის წარმომადგენლებიც. სწორედ მათ აირჩიეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონი. მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ აქამდე მივიდეს საქმე და დიდი საეკლესიო კრების მოწვევა გახდეს საჭირო, მით უფრო, ეს ინიციატივა უკვე გაჟღერებულია.

*– თქვენ რით ხსნით მომხდარს?*

– არაფერი დამანგრეველი ქვეყნისთვის არ ხდება. უბრალოდ, დროს ასცდა და ჩამორჩა საპატრიარქო. 40 წელზე მეტია, რაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი არის ილია მეორე, რომელსაც აქვს დამსახურებებიც და შეცდომებიც. შევარდნაძე – ილია მეორის ეპოქა, საბჭოთა – პოსტსაბჭოთა ეპოქა ერთიანად დასრულდა, შევარდნაძე ცოცხალი აღარ არის, ილია მეორე ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს ამყოფოს.



ხელისუფლებასთან შეზრდილი საპატრიარქოს ურთიერთობები აღარ არის თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში ურთიერთობების მისაღები ფორმა. რაც შეეხება დანარჩენს, რომელ მღვდელმთავარს რა ცოდვა აღმოაჩნდა და თუ არ აღმოაჩნდა და აბრალებენ, ეს ჩემთვის საინტერესო აღარ არის.

როდესაც ადამიანები ამ ტიპის ბრალდებებით გამოდიან ერთმანეთის მიმართ, არ ვარგა, მაგრამ, როდესაც ტაბურეტით ხელში გამოდიხარ და ადამიანს ჩაგრავ, მორალური კვარცხლბეკიდან ვეღარ იყურები და იქიდან ჩამოდიხარ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე არ მაქვს განცდა, რომ ვიღუპებით, რომ ქვეყანა იქცევა, რომ პატრიარქი გადასარჩენია. ეს სადღეგრძელოს ნაწილი მგონია.

*– სინოდმა მხოლოდ რამდენიმე საკითხზე იმსჯელა. ელოდით სხვა საკითხებზე მსჯელობასაც?*

– დიახ, უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებამდე ვერც და არც მივიდა სინოდი. ეს ცუდია. საქართველოს ეკლესიაში რუსული ძალის მოძლიერება ხდება. მოსაყდრე შიოც ამის ნაწილი მგონია.

*– შეიძლება, ეს დაპირისპირება უკავშირდება საპატრიარქო ტახტისთვის ბრძოლას?*

– რა თქმა უნდა, და ეს არ ხდება ხელისუფლების გარეშე. თავის დროზე შევარდნაძემ თქვა: ჩვენ ილია მეორე შევარჩიეთ და გაამართლა კიდეცო. რასაკვირველია, ხელისუფლება ძალიან აფათურებს ხოლმე ხელს საპატრიარქო ტახტის მემკვიდრის შერჩევაში. მოსაყდრე შიოც ხელისუფლების გარეშე არ არის შერჩეული, მაგრამ ერთია შერჩევა და მეორე, რომ ის ჯერ კიდევ არ არის პატრიარქი.

*– ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატის გაუქმებაზე საუბრობენ. როგორია თქვენი პოზიცია?*

– არ არის ეს საკითხი აქტუალური, უფრო სწორად, ვერ იქნება, რადგან მის გაუქმებას პარლამენტში დეპუტატების სამი მეოთხედის მხარდაჭერა სჭირდება. კონკორდატი არც არაფერ როლს არ თამაშობს, რადგან არ სრულდება იქ გაწერილი მუხლების დიდი უმრავლესობა. პუნქტების დიდი უმრავლესობა სადღეგრძელოებია. კონკორდატით არ იმართება დღეს ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობა.

*– კრიზისი უფრო გაღრმავდება თუ პირიქით?*

– ეს პროცესები რაც უფრო ღრმად მივა ფსკერამდე, მით უფრო მეტი იქნება კათარზისი. დადგა გაჯანსაღების პერიოდი. საპატრიარქოს დღევანდელი ფორმა წარსულის გადმონაშთია, ამიტომ ის თანამედროვეობით უნდა შეიცვალოს.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# თენგიზ დიხამინჯია: „ეკლესიაში ვითარება კატასტროფულია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი **თენგიზ დიხამინჯია** პასუხობს.

***— ბატონო თენგიზ, ეკლესიაში შექმნილ ვითარებას როგორ აფასებთ? ისე აირია სიტუაცია, ვერავინ ხვდება, როგორ უნდა შემოევლოს იმ პრობლემებს, რომელიც, როგორც ჩანს, დაგროვდა.***

— ვითარება მართლაც კატასტროფულია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ეთნოსი, მისი ცნობიერება და სახელმწიფოებრიობა ვერასოდეს შედგება, თუ ეკლესიას, სამოქალაქო საზოგადოებასა და საქართველოს მოსახლეობას შორის ჰარმონიული ურთიერთკავშირი არ იქნება.

ეკლესიაში ადრეც იყო უმნიშვნელოვანესი პრობლემები, უმძიმესი ვითარება, მაგრამ ახლა კულმინაციას მიაღწია. უმძიმესი ფაქტის მომსწრე გავხდით — მიდის პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა აკრძალული წესებით.

***— პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა მიდის თუ რეალურად, პეტრე ცაავას აინტერესებს საპატრიარქოში ვითარების გაჯანსაღება?***

— პეტრე ცაავა დეტალია, ყველაფერი ცაავაზე რომ გადავტეხოთ, არასერიოზულია. იქ სხვადასხვა კლანები არიან. აკრძალული წესებით ბრძოლაში ვგულისხმობ იმას, რომ ის, რაც პოლიტიკურ სისტემაში, პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში, მეთოდებში, კულტურაში და, განსაკუთრებით, ჩვენს რეალობაში პოლიტიკურ კულტურაში რაც არის, ის არის გადმოტანილი ეკლესიაში, რაც იწვევს ტრაგედიულ ვითარებას.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეკლესია არის ქრისტეს მისტიკური სხეულით დამაკავშირებელი მარადიულ სამყაროსთან და უკვდავებასთან, მის ზიარებასთან. მთელი მსოფლმხედველობა, ცოდნა, დაგროვილი სულიერი გამოცდილებაც ჩამოყალიბებულია და ამით სულდგმულობს მთელი ქართული ეთნოსი და მისი სახელმწიფოებრიობა.

როდესაც ეს კავშირი წყდება, ანდა ჩანაცვლებულია მიწიერი, უხამსი, ბანალური, ზედაპირული ფსევდოფასეულობებით, ტრაგიკულ და გამოუვალ ვითარებას ვიღებთ. ასეთ შედეგებს იწვევს მდარე პოლიტიკური, აკრძალული მეთოდებით შესვლა რელიგიურ სამყაროში, რელიგიურ ინსტიტუტში და იქიდან პოლიტიკის კეთება.

***— ვინ არის ამით დაინტერესებული?***

— ამით დაინტერესებულია როგორც ხელისუფლება, უმაღლესი თანამდებობის პირები (ხილული თუ უხილავი პერსონები), ისე ფსევდოოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც თავიანთი წვლილი და თავიანთი გავლენა გააჩნიათ. ე.წ. სინოდში ყველას თავისი წარმომადგენელი ჰყავს.

როდესაც ეს ურთიერთობა დაურეგულირებელია, გამჭვირვალეც არ არის და ქრისტიანული, ზეციური, სულიერი სამყაროსა და მიწიერი სამყაროს აღრევა ხდება, ტრაგიკულ შედეგებს ვიღებთ.

***— თუ მხოლოდ ტახტისთვის მიდის ბრძოლა, რატომ ხდება პირდაპირი დარტყმები პატრიარქზე? თუ ასეთი პრობლემები იყო, 30 წელია, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, რატომ აქამდე არ ითქვა?***

— ახლა ფინიშისკენ არის გასული, გლობალური პოლიტიკაც ისეთია, კვანძების გახსნა ხდება როგორც მსოფლიო პოლიტიკაში, ისე რეგიონში. თან პატრიარქი უკვე ხანშიშესული ადამიანია, 86 წლისაა, აშკარად უჭირს გამკლავება ამ ე.წ. გიენებთან, რომლებიც შემოსეულები არიან როგორც შიგნით, ისევე გარეთ და ცდილობს მათ მოგერიებასა და ვითარების დარეგულირებას, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მისი მემკვიდრეები გახდნენ.



***— აქ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესებიც არის?***

— ეს, რა თქმა უნდა, გარედან არის თავსმოხვეული. მხოლოდ ჩრდილოეთიდან, მარტო დასავლეთიდან, ან მარტო რეგიონიდან არ არის თავსმოხვეული. ყველას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. არიან ამის ორგანიზატორები, რომლებიც გარედან ცდილობენ პატრიარქის ტახტის, ამ უმნიშვნელოვანესი საჭის ხელში ჩაგდებას.

***— როდესაც ამ საკითხში დასავლეთის, რუსეთისა და სხვების ინტერესებზე საუბრობთ, ამ კონტექსტში ისიც იგულისხმება, რომ პეტრე ცაავა ვინმეს ინტერესებს ექვემდებარება თუ ეკლესიაში რეალური პრობლემები არსებობს და ცაავა პრობლემების დარეგულირების მსურველად მოგვევლინა?***

— პრობლემები, რა თქმა უნდა, არსებობს. როდესაც ინსტიტუტი პოლიტიზირებულია, სამწუხაროდ, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო სხვადასხვა მოთამაშეები შემოდიან და, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, ეტყობა, ცაავაც არის.

***— რა კუთხით?***

— პეტრე ცაავა სააკაშვილის ხელისუფლების, უგულავას ხელდასხმული ადამიანი იყო.

ეს ადამიანი, რომელსაც პატრიარქმა ხელი დაასხა, ყაზბეგში პირველი სასულიერო ცხოვრების ნაბიჯები გადადგა, ურთულესი რეგიონი სამეგრელო ჩააბარა, სინოდში და მთელ რიგ პროცესებში წამყვანი სტატუსი მიანიჭა, მაშინ ვერ ხვდებოდა პატრიარქის ავკარგიანობას. არაფერში რომ არ ჯდება, ისეთი მოვლენაა.

***— სხვათა შორის, ცოტნე გამსახურდია წერდა, რომ ზვიად გამსახურდია ყველაფერში მართალი იყო. ის აქვეყნებდა ზვიად გამსახურდიას განცხადებას, რომ ახალი რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაა მოსაწვევი. როგორ ესადაგება ზვიად გამსახურდიას ეს განცხადება დღევანდელობას?***

— არა მარტო ზვიად გამსახურდიას, არამედ დღევანდელი სამოქალაქო სექტორის, მათ შორის, პატრიარქის გულმხურვალე თუ არა ობიექტური მხარდამჭერებიც ღიად ლაპარაკობენ იმაზე, რომ საეკლესიო ეროვნული კრების მოწვევის იდეა მომწიფდა. დავით აღმაშენებელმა გიორგი ჭყონდიდელის ზემოქმედებით, სამოქალაქო სექტორიდან შევიდა ეკლესიაში და კრების ჩატარება უზრუნველყო, ასეთი. ეს იდეა დღევანდელ საქართველოშიც მწიფდება და კოლექტიურ ხასიათს ღებულობს.

***— მაშინ პეტრე ცაავასთან რა გვინდა, რაში არ ვეთანხმებით და რაში არის მიუღებელი მისი პოზიცია?***

— პეტრე ცაავა თავის თავზე ირგებს სიტუაციას. შეიძლება იდეები აქვს, სხვაზე უფრო გაქნილია, სხვაზე უფრო ნიჭიერია, მაგრამ არსებულ ვითარებას იყენებს თავისი ინტერესებისა და ეგოცენტრიზმის დასაკმაყოფილებლად. მას ქრისტეს სხეული და სულიერება ნაკლებად აწუხებს, მთავარია, თავისი პერსონის, თავისი კლანის ინტერესები უზრუნველყოს და ისე გავიდეს ფონს. როდესაც ნათელი იდეის ბნელ პლასტებში გადმოტანა ხდება, მაშინ კარგი იდეიდან არაფერი რჩება.

***— თქვენ პეტრე ცაავა ნაცებთან კავშირში მოიხსენიეთ.***

— ყოველ შემთხვევაში, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ.

***— რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მიზანი იქიდან გამომდინარე, რაც სინოდის სხდომაზე თუ შემდეგ გააკეთა?***

— მიზანი ეკლესიის დისკრედიტაცია შეიძლება იყოს. რა გაგრძელება ექნება ამ ყველაფერს, ამას დრო გამოაჩენს, მაგრამ ერთი რაღაც ნამდვილად მოხდა — ამ სკანდალით, ეკლესიის უზარმაზარი შეტორტმანებით, რითაც ქართულმა ეკლესიამ უზარმაზარი დარტყმა მიიღო და ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, ძირითადად ორმა კლანმა მოიგო.

***— რომელმა ორმა კლანმა მოიგო?***

— მოიგეს მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის კლანებმა, რომლებსაც თავისი მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი ჰყავთ. ისინი, ჯერჯერობით, ძირითადი მოთამაშეები არიან. აქამდე თუ პატრიარქისა და ეკლესიის სიმაღლე ყველა სტატისტიკით მიუწვდომელი იყო, დღეს უკვე ამას ვერ ვიტყვით.

***— ხელშეუხებელიც იყო.***

— დიახ, ყველა აღიარებდა რელიგიური ინსტიტუტისა და პატრიარქის რეიტინგს. დღეს უკვე ასე აღარ არის. რაც უფრო არჩევნებისკენ მივდივართ, ყველაზე მეტად ამ ორი ძირითადი მოთამაშის ინტერესებშია რელიგიური ინსტიტუტი შეიზღუდოს და თამასა უფრო დაბლა დაეშვას.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ პეტრე ცაავას იმედი აქვს, რომ 2020 წლის არჩევნებში ნაცები ისევ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში და საპატრიარქო ტახტზე რეალური მხარდაჭერა ექნება?***

— არ ვიცი, მანდ ბევრი ვარიანტი და ბევრი კომბინაცია შეიძლება იყოს. ერთი, ხელისუფლების დაბრუნება, მეორე, ეკლესიის ინსტიტუტის დაყოფა, რაც თავის დროზე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში განხორციელდა.

***— განხეთქილების რეალური საშიშროება არის?***

— საქართველოში ეკლესია იურიდიულად ცენტრალიზებულია. ამ ვერტიკალის მოშლა და სამ-ოთხ ნაწილად გაყოფა უნდათ. ამის შედეგი შეიძლება იყოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის მართვა, რომელიც იქნება შებღალული ან ნიველირებული. ამის აპოლოგეტები იყვნენ თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები რამიშვილი-ბოკერიას სახით. რამიშვილი გაქრა და ის უგულავამ ჩაანაცვლა. ფსევდოქრისტიანულ იდეოლოგიას ქადაგებენ თანამედროვე თვალსაზრისით.

ყველანაირი ვარიანტი მოსალოდნელია, გააჩნია, ესენი რომელ თამაშს და კომბინაციას აირჩევენ. ყველაფერი ძირითადად ან არჩევნებამდეა დასული, ან ცენტრალიზებული სახელმწიფო რელიგიური ინსტიტუტის დეცენტრალიზაციამდე. ეს გამოწვევა დგას ეკლესიის წინაშე, რაშიც ე.წ. წმინდა სინოდი თავისი არაკომპეტენციით, გაუმჭვირვალობით და დაბალი ერუდიციით, მავნე ბნელ ძალებს ბნელი გეგმებისა და იდეების რეალიზაციის საშუალებას აძლევს. ეს არის მოცემულობა. ამიტომ მდგომარეობა უმძიმესია.

***— როგორ გამოჩნდა ჩვენი ეკლესია შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვთქვათ, რუსეთიდან?***

— როდესაც ყველა ინსტიტუტი აღრეულია, როდესაც ამხელა ავტორიტეტი მკვეთრად ეცემა დაბლა, და ამას მტერიც და მოყვარეც აღნიშნავს, ამაზე მიბმული ინსტიტუტებიც, შესაბამისად, დეგრადაციას განიცდიან და ყველა მოქმედ ინსტიტუტს შეეხება.

***— ეკლესიის ავტორიტეტი დაბლა დაეცა?***

— ძალიან დაბლა დაეცა. ყველაზე მეტად გამოჩნდა ე.წ. წმინდა სინოდის კომპეტენციის ხარისხი, ერუდიცია, მორალური სახე და გაუმჭვირვალობა დაინახეს საშუალო ფენის ადამიანებმა და სერიოზული დასკვნების გაკეთება მოუწევთ.

# სალომე სამადაშვილი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

შემდეგ, რაც მას მიეცემა შესაძლებლობა, რომ ისაუბროს.

მოვისმინეთ, რომ დეკანოზი მამალაძე პროკურატურას დაკავებული ჰყავდა ერთადერთი მიზნით, რომ ეს უკავშირდებოდა კომპრომატების შეგროვებას საპატრიარქოსთან დაკავშირებით.

ეს განაცხადა მისმა ძმამ. გვითხრა, რომ დეკანოზის მიმართ ხორციელდებოდა ზეწოლა პროკურატურის მხრიდან იმისთვის, რომ კომპრომატები გაეცა საპატრიარქოსთან დაკავშირებით. შესაბამისად, მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად მოგვეცეს შესაძლებლობა, მოვუსმინოთ დეკანოზ გიორგი მამალაძეს. მოგვაწოდოს მან რეალური ინფორმაცია და რეალურად გავარკვიოთ, რა ხდებოდა.

***— შეწყალების საქმეზე სათათბირო ორგანოს შექმნის შემდეგ დროებით შეჩერდება საუბარი პრეზიდენტის იმპიჩმენტზე თუ კვლავ იქნება დღის წესრიგში?***

— პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი დღის წესრიგში დადგება. იმიტომ, რომ არანაირი ახალი წესის შემუშავება შეწყალებასთან დაკავშირებით არ ცვლის იმას, რომ ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ არა მართლზომიერ და კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებას პრეზიდენტის მხრიდან.

საუბარი მაქვს იმაზე, რომ მან უკვე გამოიყენა შეწყალების უფლება და მიიღო სკანდალური გადაწყვეტილებები. ამიტომ, ეს საკითხი დღის წესრიგში დარჩება. თუმცა, ეჭვი მეპარება იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის პარლამენტმა ამ საკითხს მსვლელობა მისცეს. თუმცა, იმპიჩმენტის საკითხი ისევ რელევანტურია იქამდე, სანამ არ ჩატარდება სრულფასოვანი გამოძიება.

***— ანუ, უნდა ველოდოთ, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შესაძლოა რეალურად დადგეს პარლამენტის წინაშე მისი იმპიჩმენტის საკითხი?***

— უნდა ჩატარდეს გამოძიება და გამოძიების შესაბამისი შედეგების მიხედვით უნდა დადგეს ის კონსტიტუციური შედეგი, რომელიც იქნება სწორი და გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.

# გოგი წულაია: „ყველა პოლიტიკოსი ცდილობს ქულების ჩაწერას ეკლესიის თემაზე“

მარიამ მჭედლიშვილი

## „ქვეყანა საბჭოურად იმართება“

რა ხდება ქვეყანაში საპატრიარქოს წმინდა სინოდის ბოლო სხდომის შემდეგ? ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ **გოგი წულაიას.**



***— 1 ნოემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეწვია პრემიერი გიორგი გახარია. რას ნიშნავს მისი ეს ნაბიჯი?***

— არაფერ განსაკუთრებულს. ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ საქართველოში პოლიტიკოსების უმრავლესობა ყველა საკითხს თავისთვის იყენებს. ახლა ყველა პოლიტიკოსი და თანამდებობის პირი ცდილობს ქულების ჩაწერას ეკლესიის თემაზე. არც გახარიაა გამონაკლისი. მასაც დასჭირდა პატრიარქთან მისვლა და მივიდა. ამავე დროს ხდება ისეთი ამბები, რაც დამანგრეველია ქართული სულიერების, ყოფისა და კულტურისათვის.

***— სინოდის სხდომის დროს დაწყებულ პროცესებს გულისხმობთ?***

— აბა რა! განხეთქილება და შფოთი ეკლესიაში, ასეთი დაპირისპირება მარტო საპატრიარქოს ხომ არ ანგრევს! ამ ოჯახაშენებულ ხელისუფლებს ასე თუ შესტკიოდათ გული, მანამდე გამოეჩინათ ყურადღება!

***— ერთი კვირის წინ მეუფე იაკობმა წინა პრემიერ კვირიკაშვილს და კიდევ რამდენიმე პირს სერიოზული ბრალდებები წაუყენა და ისინი პატრიარქის წინააღმდეგ შეთქმულებაში ამხილა. ხელისუფლებამ ამას ბოდვა უწოდა.***

— ასე რომ უდგებიან ყველაფერს, რეაგირება რომ არ არის, იმიტომ გვაქვს საქმე კარგად ყველა მიმართულებით! ესენი არც ერთ ბრალდებას სერიოზულად არ უყურებენ და ყველაფერს ჩქმალავენ.

ზოგმა ის შეხვედრა უარყო. კვირიკაშვილმა თვითონ შეხვედრის ფაქტი არც უარყო და არც დაადასტურა. ამათთვის ყველაფერი ბოდვაა, რისი მიჩუმებაც უნდათ. ჩირქი რომ ჩნდება, იმას რადიკალური ჩარევა უნდა. თუ არ მიხედე, ფურუნკული გაიზრდება. ესენი „ზელიონკას“ უსვამენ და ამით დაავადებას ართულებენ.

***— ჭყონდიდის ეპარქიაში დაბრუნებულმა გადაყენებულმა მღვდელმთავარმა პეტრე ცაავამ განაცხადა, რომ იშვება ეროვნული მოძრაობა. ამით ის ამბობს, რომ თავის მოქმედებებს გააგრძელებს?***

— მეც ასე მესმის ეს სიტყვები. მოწინააღმდეგეების მიმართ დაახლოებით ასე ამბობს — ჩამოვიდეს და დავხვდებიო! საინტერესოა, რას აპირებს?! ამ სხდომამ ცუდი სიტუაციას შექმნა. ყველამ უნდა ვილოცოთ და ვისურვოთ, რომ მდგომარეობა არ გართულდეს და სტაბილურობა იყოს.

***— სტაბილურობა სანატრელი გახდა?***

— სწორედ ასეა. მუდმივ შფოთში ვცხოვრობთ. დილით ტელევიზორს კანკალით ვრთავ — ვიცი, რომ რაღაც ახალი უბედურება უნდა გვამცნონ. სტრესს სტრესი მოჰყვება. შედეგად ვიღებთ საშინელებას.

***— რა გაქვთ მხედველობაში?***

— დღე არ გავა, არ გავიგოთ, რომ მამამ შვილი, ძმამ ძმა, შვილმა დედა მოკლა. დანაშაული ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ამდენი შემზარავი დანაშაული ერთად არასდროს ყოფილა. ისეთ გარემოში ვართ, რომ ხალხი ჭკუიდან გადადის.

***— თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ეკლესიის გარშემო მიმდინარე ნეგატიური მოვლენები გაგრძელდება.***

— არასტაბილურობა მოსალოდნელია, მაგრამ ეკლესიაც და ქვეყანაც გადარჩებიან. ქვეყანაში ისტორიულად ყოფილა ომები, განხეთქილება, შიდა გაუტანლობა, საქართველომ ამ ყველაფერს გაუძლო.

ჩვენ სხვანაირი ხალხი ვართ. ამ ფენომენის ახსნა ძნელია. მძიმე დროში ვცხოვრობთ, მაგრამ ქვეყანა აუცილებლად გადარჩება. ამ სიტუაციიდანაც გამოვალთ.

ცხონებულმა აკაკი ბაქრაძემ ერთხელ თქვა, მოსემ თავისი ხალხი უდაბნოში 40 წელი ატარა, ჩვენც ასე ბიბლიურად მოგვიწევს ცხოვრება, სანამ სულ სხვა თაობები არ წამოვლენო.

ამაზე აკაკი ბაქრაძეს ერთი ამბავი აყარეს. მას ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც არ დაეთანხმნენ. რაც დრო გადის, ვრწმუნდები აკაკი ბაქრაძის სიბრძნეში. ცოტაც და მის მიერ ნახსენები 40 წელი გავა. ამიტომ მჯერა, რომ რამდენიმე წელიწადში ნორმალური ცხოვრება გვექნება.

***— აკაკი ბაქრაძემ, ალბათ, ივარაუდა, რომ 40 წელიწადში ხალხს საბჭოთა მენტალიტეტი გამოუნელდებოდა.***

— რასაკვირველია! ახლაც ვერ გამოვსულვართ საბჭოთა მენტალიტეტიდან. ქვეყანა საბჭოურად იმართება და სადაც გაიხედავ, ყველგან საბჭოთა კავშირის აჩრდილი ჩანს.

***— გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ საპატრიარქო მიმართავს პრეზიდენტს მსჯავრდებული დეკანოზ მამალაძის შეწყალების თხოვნით, საზოგადოებაში გააჩინა აზრი, რომ მამალაძის შანტაჟმა გაჭრა.***

— ამაზე ეჭვი მეც გამიჩნდა. უნდობლობა რომ არ იყოს, განმარტებები ხომ უნდა მოგვცენ! აგვიხსნან, აქამდე რატომ არ იყო ეს შუამდგომლობა და ახლა რატომ მოუნდათ დეკანოზის შეწყალება? ის ავადაა, მაგრამ მაშინ სხვა ავადმყოფმა პატიმრებმა რა დააშავეს?

***— მით უმეტეს, რომ შეწყალებაზე მორატორიუმია გამოცხადებული.***

— ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. პრეზიდენტი საკუთარ თავს უწესებს მორატორიუმს იმისთვის, რომ არ შეასრულოს თავისი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა.

# „პატრიარქის შესაძლო ლიკვიდაციაზე განცხადება მეუფე იაკობმა მეორე დღესვე უარყო“

## რატომ არ დაიწყო გამოძიება მეუფის განცხადებების საფუძველზე

საქართველოს პროკურატურამ მეუფე იაკობის სკანდალურ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ის პატრიარქის წინააღმდეგ შეთქმულებასა და მისი ლიკვიდაციის გეგმაზე საუბრობს, განცხადება გაავრცელა.

პროკურატურა განმარტავს, რომ მეუფე იაკობის განცხადების საფუძველზე გამოძიება იმიტომ არ დაიწყო, რომ მან თავისივე გავრცელებული ფაქტები თავადვე უარყო.

პროკურატურის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა განმარტავს, რომ გამოძიების დაწყების საფუძველი ვერ გახდება ისეთი საჯარო განცხადება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის სინამდვილეს განმცხადებელი თავად უარყოფს. თუ განმცხადებელი, გამოძიების დაწყებამდე, თავადვე უარყოფს მის მიერ გავრცელებულ ფაქტებს, სამართალდამცავი ორგანოები ვერ შეაფასებენ ამგვარ უარყოფილ ინფორმაციას, როგორც დანაშაულის ნიშნების შემცველს.

პირთა პოლიტიკური შეხედულებები, მოსაზრებები, ეჭვები, სურვილები თუ სხვა რაიმე შეფასებითი ხასიათის გამონათქვამები სცილდება სამართლებრივი სივრცის ფარგლებს.

კონკრეტულ პირთა განცხადებები, მათი ავტორიტეტის თუ საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მხარდაჭერის/ცნობადობის შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილისთვის, თუმცა ისინი ვერ დაექვემდებარება სამართლებრივ შეფასებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობა გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აწესებს მხოლოდ კონკრეტული ფაქტების შეფასების უფლებამოსილებას.



საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის სამართლებრივი შეფასების დროს, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, თუ გავრცელებული ინფორმაციის რა ნაწილი შეიცავს კონკრეტული ფაქტების აღწერას. აუცილებელია გაირკვეს, თუ მოცემული ფაქტებიდან რომელი უკავშირდება დანაშაულებრივ ქმედებებს, მიუთითებს თუ არა ფაქტები კონკრეტული დანაშაულის ჩადენაზე.

ამასთან, განცხადებათა სიმრავლის შემთხვევაში საჭიროა თითოეული მათგანი შეფასდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად და საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფაქტები დაექვემდებაროს შეფასებას.

სატელეფონო ინტერვიუს დროს მეუფე იაკობმა განაცხადა, რომ სამი წლის წინ, მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და რამდენიმე სასულიერო პირი განიხილავდნენ პატრიარქის ლიკვიდაციისა და მისი საპატრიარქო ტახტიდან გადაყენების საკითხს.

აღნიშნული განცხადება, პატრიარქის შესაძლო ლიკვიდაციის ნაწილში, მეუფე იაკობმა მეორე დღესვე უარყო. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ მეუფე იაკობის ეს განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც მან თავადვე დაადასტურა, რის გამოც სამართლებრივად ის ვერ დაედებოდა საფუძვლად გამოძიების დაწყებას.

რაც შეეხება განცხადების მეორე ნაწილს, რომელიც ეხებოდა პატრიარქის საპატრიარქო ტახტიდან გადაყენების საკითხს, ამ ნაწილშიც მეუფე იაკობის განცხადებები არაერთ უზუსტობასა თუ წინააღმდეგობრივ დებულებებს შეიცავს.

მეუფე იაკობის მიერ შეხვედრაზე დამსწრეთა შორის დასახელებულმა პირებმა, (როგორც სასულიერო, ისე საერო პირმა) საჯაროდ კატეგორიულად უარყვეს არათუ პატრიარქის გადაყენების საკითხის განხილვა რაიმე შეხვედრაზე, არამედ თავად ამგვარი შეხვედრაც კი. აღნიშნული ფაქტობრივად გამორიცხავს ამ ინფორმაციის სისწორის თეორიულ შესაძლებლობასაც კი.

საქართველოს პროკურატურაში ასევე შეფასებულ იქნა მეუფე იაკობის განცხადების ის ნაწილი, რომელიც შეეხება რამაზ ნიკოლაიშვილის მიმართ დანაშაულის შესაძლო ჩადენას.

ამ ნაწილში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად დანაშაულის შედეგად შესაძლო დაზარალებულმა პირმა საჯაროდ უარყო მის მიმართ რაიმე სახის უკანონო ქმედებების განხორციელება, რის გამოც აღნიშნული განცხადება მიჩნეულ იქნა დაუდასტურებელ ინფორმაციად.“

# რაიან სმიტის დედამ მალხაზ კობაურს დანაშაული აპატია

## კობაურს სმიტების ოჯახთან შეხვედრა სურს



ხადას ხეობაში მოკლული რაიან სმიტის დედა მისი შვილის, რძლისა და 4 წლის შვილიშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებულ მწყემსს, მალხაზ კობაურს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილ წერილში ჩადენილ დანაშაულს პატიობს.

წერილი, რომელიც ლინ სმიტმა მალხაზ კობაურს 2018 წლის 1-ელ ოქტომბერს გამოუგზავნა და მსჯავრდებულმა რამდენიმე დღის წინ მიიღო, ინტერპრესნიუსმა ექსკლუზიურად მოიპოვა.

6-გვერდიან წერილში მოკლული რაიან სმიტის დედა მსჯავრდებულ მწყემსს ემოციურად მიმართავს და ამბობს, რომ მას და მის მეუღლეს არ სურთ „მიუტევლობის, სიმწარის, ზიზღის ან ბოროტების მარწუხებში ცხოვრება“, რის გამოც კობაურისთვის დანაშაულის მიტევების გადაწყვეტილება მიიღეს.

ლინ სმიტი წერილში ასევე აღნიშნავს, რომ მოკლულთა ოჯახის სურვილია, მალხაზ კობაურმა საპყრობილეში 30 წელი გაატაროს ან იქ სამუდამოდ დარჩეს, რათა მისგან საფრთხე სხვა ადამიანებსაც არ შეექმნათ.

გარდა ამისა, რაიან სმიტის დედა მსჯავრდებულ მწყემსს ლოცვისკენ მოუწოდებს და ურჩევს, ღმერთს შენდობა სთხოვოს.

თავად მალხაზ კობაურმა სმიტების ოჯახის წევრებთან შეხვედრა და საუბარი მოისურვა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს მალხაზ კობაურის ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ უთხრა.

როგორც ალექსანდრე კობაიძე აცხადებს, რაიან სმიტის დედის წერილი კობაურმა რამდენიმე დღის წინ მიიღო.

— მალხაზ კობაურმა, როგორც იქნა, მიიღო აღნიშნული წერილი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ კობაურს ეს წერილი აქამდე არ გააცნეს და ეს ფაქტი დადასტურდა. აღნიშნულით პატიმრის უფლებების ხელყოფა მოხდა. ვფიქრობ, ეს მინიმუმ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

რაც შეეხება წერილს, მასში რაიან სმიტის დედა კობაურს სთხოვს, რომ მეტი ილოცოს, მეტი ურთიერთობა ჰქონდეს უფალთან. საკმაოდ დიდი წერილია.

მალხაზ კობაური წერილს გულისყურით გაეცნო და მან სურვილი გამოთქვა, სიამოვნებით შევხვდები ქალბატონ ლინ სმიტს და პირადად დაველაპარაკები, ამის შესაძლებლობა რომ მქონდესო.

ეს სურვილი რატომ გამოხატა, ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ მისი სურვილია, შეხვდეს დაზარალებულის ოჯახის წევრებს, მას ბევრი აქვს სათქმელი და, შესაბამისად, ის მზაობას გამოთქვამს, ამ საზარელ ფაქტთან დაკავშირებით გარდაცვლილების ოჯახთან ისაუბროს, — განაცხადა ადვოკატმა კობაიძემ.

# გოგა ონიანი ციხიდან გამოვიდა



1 ნოემბერს ნაციონალური მოძრაობის წევრი, ადვოკატი გოგა ონიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა. მას საპატიმრო ვადა 3 ნოემბერს ეწურებოდა, თუმცა უქმე დღეების გამო, სასჯელაღსრულების დაწესებულება 1 ნოემბერს დატოვა.

როგორც გოგა ონიანმა განაცხადა, საზოგადოება დარწმუნდება, რომ მის მიმართ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობდა:

— დღეს საქართველოში რაიმეს სამართლებრივად მტკიცებას აზრი არ აქვს. ჩემთვის მთავარია საზოგადოების აზრი, რომელიც ისეთ კონკრეტულ ამბებს გაიგებს, რითიც დარწმუნდება, რომ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური დევნა, — განაცხადა ონიანმა.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ირაკლი ნადირაძის თქმით კი, დღეს საქართველოში ერთით ნაკლები პოლიტპატიმარია:

— ეს იყო ცალსახად პოლიტიკური დევნა. კარგია, რომ დღეს ერთით ნაკლები პოლიტპატიმარი გვყავს, თუმცა სხვა პოლიტპატიმრები რჩებიან ციხეში, — განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატი გიორგი ონიანი სასამართლომ დამნაშავედ 2017 წლის 7 ნოემბერს ცნო. გიორგი ონიანს პროკურატურა რამდენიმე დანაშაულს ედავებოდა — მათ შორისაა უკანონო დაკავება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია.

მას 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა.

# ყაჩაღობაში ბრალდებულს 6 წელი მიესაჯა

## ა.ლ.-მ სავაჭრო ჯიხურიდან 950 ლარი გაიტაცა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული ა.ლ. დამნაშავედ ცნო.

2019 წლის 7 მაისს, ა.ლ.-მ ღამის საათებში, ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე სავაჭრო ჯიხურის კარის მინა დაამსხვრია, შეაღწია ჯიხურში და ცივი იარაღის მსგავსი საგნის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოლარეს გასტაცა ჯიხურის კუთვნილი 950 ლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ა.ლ. 2019 წლის 8 მაისს დააკავეს, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, (ყაჩაღობა სადგომში უკანონო შეღწევით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.ლ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ცოტნე ცოტნიაშვილი სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს



20 ივნისის საქმეზე დაკავებული 5 პირიდან ერთ-ერთმა, ცოტნე ცოტნიაშვილმა, სასამართლო სხდომაზე ბრალი აღიარა და ის სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა 1 ნოემბერს გამოაცხადა.

როგორც ცოტნე ცოტნიაშვილმა განმარტა, ის თავს დამნაშავედ ცნობს. ამასთან, მან ბრალდების მხარის მტკიცებულებები უდავოდ ცნო.

ცოტნე ცოტნიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 2.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

აღნიშნული შუამდგომლობა დაცვის მხარემ დააყენა, რასაც ბრალდების მხარეც დაეთანხმა.

20 ივნისის საქმეზე ზურაბ ბუდაღაშვილი, ცოტნე ცოტნიაშვილი, ბესიკ თამლიანი, ცოტნე სოსელია და კახაბერ კუპრეიშვილი არიან ბრალდებული.

დაკავებულ პირებს ბრალი ედებათ ჯგუფურ მოქმედებში მონაწილეობაში, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ქარელში დევნილთა კორპუსში გაზი აფეთქდა

## დაშავდა 60 წლის მამაკაცი

1 ნოემბერს ქარელში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე დევნილების საცხოვრებელ კორპუსში აფეთქება მოხდა.

აფეთქება, სავარაუდოდ, ბუნებრივმა აირმა გამოიწვია.

შემთხვევის შედეგად პირველ სართულზე მცხოვრებმა, 60 წლამდე ასაკის მამაკაცმა, სხეულის მძიმე ხარისხის დამწვრობა მიიღო. დაშავებული ქარელიდან თბილისში, დამწვრობის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს.

ქარელის მუნიციპალიტეტის მერის, ზაზა გულიაშვილის განცხადებით, აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსიდან მერიამ მოსახლეობა უსაფრთხო ადგილზე გაიყვანა.

# მებაჟე ოფიცრებმა 14.860 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს



„30-31 ოქტომბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში: „წითელი ხიდი“ და „სარფი“, სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 14,860 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას-ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ“ — აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გია გოგოშვილი სასულიერო პირებს ცემაში ადანაშაულებს



ზემო ბოდბეში მცხოვრები 61 წლის გია გოგოშვილი სასულიერო პირებს ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მღვდელმსახურმა და სტიქაროსანმა სახლში მიაკითხეს, მანქანაში ჩასვეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელ ბოდბისხევში, მამათა მონასტერში მცხოვრებ ბერებთან კონფლიქტი ხშირია, მიზეზი კი, საქონლის მონასტრის ტერიტორიაზე გადასვლის ფაქტებს უკავშირდება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

# თამარ საძაგლიშვილს ფსიქიატრიულში მკურნალობა დაენიშნა



თბილისში, პეკინის გამზირზე 3 წლის ბავშვის დაჭრაში ბრალდებული ქალის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა.

პროკურატურაში მიიღეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, თამარ საძაგლიშვილი სრულიად შეურაცხადია.

საძაგლიშვილის მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი სწორედ აღნიშნული დასკვნა გახდა. გადაწყვეტილება კი მოსამართლემ მიიღო.

საძაგლიშვილს ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში 3 წლის ვადით მკურნალობა დაენიშნა.

მიმდინარე წლის 28 აგვისტოს, პეკინის ქუჩაზე, თამარ საძაგლიშვილმა 3 წლის ბავშვი სახის არეში დაჭრა.

# ისლამური სახელმწიფო: „აშშ-სა და მის ურჯულო ძმებზე შურს ვიძიებთ!“



ისლამურმა სახელმწიფომ დაჯგუფების ლიდერ ალ-ბაღდადის სიკვდილი დაადასტურა და აშშ-სა და მის მოკავშირეებზე შურისძიება დააანონსა.

დაჯგუფებამ ალ-ბაღდადის „მემკვიდრეც“ დაასახელა და ახალ ლიდერად აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშემი ალ-ქურაიში დანიშნა.

ისლამურმა სახელმწიფომ გაავრცელა მუქარის აუდიოჩანაწერი, სადაც დაჯგუფება აშშ-სა და მის მოკავშირეებს შურისძიებით ემუქრება.

„ეშინოდეთ შურისძიების მათი ხალხისა და ურჯულო და მოღალატე საქმოს წინააღმდეგ“, — ნათქვამია ჩანაწერში.

გარდა ამისა, ისლამურმა სახელმწიფომ მისი პრესსპიკერის აბუ ალ-ჰასან ალ-მუჰაჯირის სიკვდილიც დაადასტურა.

შეგახსენებთ, ამერიკულმა სამხედროებმა ისლამური სახელმწიფოს ლიდერის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის წინააღმდეგ ოპერაცია სირიაში, იდლიბის პროვინციაში განახორციელეს. პენტაგონის ინფორმაციით, ოპერაციის დროს ალ-ბაღდადმა, რომელიც გვირაბის საშუალებით გაქცევას ცდილობდა, თავი აიფეთქა.

## კალეიდოსკოპი

# გოგონა კლდიდან გადავარდა და შეყვარებულის თვალწინ დაიღუპა



ბრიტანელი ტურისტი გოგონა მთა კინდერ სკაუტის ჩანჩქერიდან გადავარდა და თავისი შეყვარებულის თვალწინ დაიღუპა.

29 წლის ჰანა ლოუ, დედასთან, დასთან და შეყვარებულ ადამ სტენაუეისთან ერთად დერბიშირის საგრაფოში პიკ-დისტრიქტის მთებში სალაშქროდ იმყოფებოდა. ლოუ გამოცდილი მოგზაური და მთამსვლელი იყო. მას ბრიტანეთის რამდენიმე უმაღლესი მწვერვალი ჰქონდა დაპყრობილი.

როდესაც ჯგუფმა კინდერ სკაუტის მწვერვალს მიაღწია, პიკნიკი მოაწყვეს. ლოუმ და სტენაუეიმ გადაწყვიტეს მთის მწვერვალზე დამსხდარიყვნენ და სამომავლო გეგმებზე ემსჯელათ. ფეხზე წამოდგომის მომენტში, გოგონას ფეხი აუსრიალდა და კლდიდან ჩანჩქერში გადაიჩეხა.

— ჰანა წამოდგა, შეტრიალდა და ქვებზე წონასწორობა დაკარგა. შევეცადე მისი ჩანთისთვის მეტაცა ხელი, მაგრამ ველარ მოვასწარი და ის გადავარდა, — განუცხადა გამომძიებლებს სტენაუეიმ. არც ბოიფრენდს და არც დედას არ დაუნახავთ, თუ სად ჩავარდა გოგონა. მათ მაშველები გამოიძახეს, თუმცა მათ ადგილზე მისვლამდე გოგონამდე მიღწევა სხვა ტურისტებმა მოახერხეს.

ის გარდაცვლილი იყო, რისი მიზეზიც თავის ტვინის მძიმე ტრავმა გახდა. გამოძიების დროს პოლიცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლოუს დაღუპვის მიზეზი უბედური შემთხვევა გახდა და ამიტომ მისი შეყვარებულისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

# ზვიგენი ორ ადამიანს დაესხა თავს



ავსტრალიის უიტსანდის კუნძულებზე ორი ბრიტანელი ტურისტი დაშავდა მათზე ზვიგენის თავდასხმის შედეგად.

ინციდენტი კუნძულ ჰუკის მახლობლად 29 ოქტომბერს მოხდა. ზვიგენი თავს ორ დამსვენებელს იმ დროს დაესხა, როდესაც ისინი წყალში ჭყუმპალაობდნენ. 22 წლის დენი მეგსს მარჯვენა ბარძაყზე დარჩა ნაფლეთი ჭრილობები, ხოლო 28 წლის ალისტერ რადონმა მარჯვენა ფეხზე ქუსლი დაკარგა.

ორივე ბრიტანელი ერთდღიანი კრუიზის დროს წყალქვეშ ჩასაყვინთი ნიღბებით და სასუნთქი მილით ცურავდნენ. ტურისტულ გემზე, რომელმაც ისინი ქალაქ ერლი-ბიჩიდან კუნძულებზე ჩამოიყვანა, 20 კაცისგან შემდგარი ჯგუფი იმყოფებოდა.

თვითმხილველთა თქმით, ზვიგენი ჯერ ერთ ტურისტს დაესხა თავს, შემდეგ შეტრიალდა და მეორეს შეუტია. გემზე მყოფმა ექიმებმა ოპერატიულად აღმოუჩინეს დაშავებულებს პირველადი სამედიცინო დახმარება.

გემის ერლი-ბიჩში დაბრუნების შემდეგ კი დაშავებული ბრიტანელები შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამჟამად ისინი კრიტიკულ, თუმცა სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

# აშშ-ის კონგრესმა ტრამპის იმპიჩმენტის ფორმალიზებას მხარი დაუჭირა



აშშ-ის კონგრესში ვნებათაღელვა გრძელდება. ტრამპისათვის იმპიჩმენტის გამოცხადების საკითხი მწიფდება. ერთნი მოითხოვენ, რომ იმპიჩმენტი დაუყოვნებლივ გამოაცხადონ, მეორენი თვლიან, რომ ეს ნაადრევია და ჯერ გამოძიება უნდა დასრულდეს.

კონგრესში ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ კომპრომისი გამოიძებნა. კონგრესმა თავი შეიკავა იმპიჩმენტის დაუყოვნებლივ გამოცხადებისაგან, მაგრამ მხარი დაუჭირა გამოძიებას, რომელმაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი უნდა განიხილოს. გამოაცხადებენ იმპიჩმენტს თუ არა, ეს გამოძიების დასრულების შემდეგ გადაწყდება.

დადგენილებას მხარი დაუჭირა დემოკრატიული პარტიის თითქმის ყველა წევრმა, გარდა ორისა. ყველა რესპუბლიკელი კი წინააღმდეგი წავიდა.

# თურქეთმა რუსეთს 18 სირიელი სამხედრო გადასცა



თურქეთმა რუსეთს 18 სამხედრო გადასცა, რომლებიც, სავარაუდოდ, სირიის მთავრობის ჯარისკაცები არიან. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ჯარისკაცები ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამხედროების გადაცემა განხორციელდა „რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან კოორდინაციის შედეგად“.

1 ნოემბრიდან თურქეთისა და რუსეთის სამხედრო პატრულები ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში ერთობლივ პატრულირებას ახორციელებენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# განცხადებები


**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ამკურნალი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ შემდეგი სახის მკურნალობას: სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის „აკნეს“ ლაქების მოხსნას, კანის გამოცვლას უმტკივნეულოდ, დახეთქილი და გაუხეშებული ქუსლების, ხელების მკურნალობას ხსნარებისა და მალამოების საშუალებით. ტელ: 555-11-00-06.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


# ქალმა მეუღლეს მეგობართან შეუსწრო და შური ეშმაკურად იძია




აშშ-ის მკვიდრმა ბრენდი ლიმ მოღალატე მეუღლესთან განქორწინებისთვის ფული კილოგრამობით დაიმით (ათი ცენტი ნომინალის ამერიკული მონეტა) გადაიხადა.

ლიმ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე მოყვა, რომ მეუღლის ოჯახის მეგობართან ღალატის თაობაზე შეიტყო და განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. განქორწინების პროცესზე სასამართლომ მას მეუღლისთვის 7,5 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა.

— მამაკაცმა, რომელსაც ცოლად გავყევი, უდიდესი საჩუქარი გამიკეთა, საკუთარი მეგობრის ცოლთან გაატარა ღამე, — დაწერა ირონიულად ქალმა.

ეს ქალი ჩვენს ქორწილს ესწრებოდა და ხედავდა, თუ როგორ შევციცინებდი თვალებში ჩემს საყვარელ მამაკაცს და ერთგულებას ვეფიცებოდი, — წერს ლი, — ბოლოს მათ შევუსწარი, საქმე სასამართლომდე მივიდა და რაღაც უსაშინლესი უსამართლობით სწორედ მე მომიწია მოღალატე მეუღლისთვის 7,5 ათასი დოლარის გადახდა.

ქალმა გადაწყვიტა, ყოფილ მეუღლეზე შური ეძია და დაკისრებული თანხა მონეტებით გადაეხადა.

— სასამართლოში მითხრეს, რომ მე მას ეს თანხა უნდა გადავუხადო და მორჩა. არავის უთქვამს, ეს როგორ უნდა გავაკეთო, — ამბობს ორი შვილის დედა.

ის მივიდა ადგილობრივ ბანკში, მის თანამშრომლებს სიტუაცია განუმარტა და მსხვილი კუპიურების გადახურდავება სთხოვა.

— ალბათ მიხვდით, რომ იმ მშვენიერმა ქალბატონებმა სიხარულით დაუჭირეს მხარი ჩემს მუხანათურ გეგმას, — აღნიშნა ქალმა. შედეგად ლიმ დაიმებით სავსე ათი ყუთი მიიღო, რომელთა საერთო წონამ 159 კილოგრამი შეადგინა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**მალამო „მენტორი პირველი“**

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

**მალამო მენტორი ხუთი**

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# იტალიაში ტურინული დერბია



## სტატისტიკა, ფსონები

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.11 ბორნმუთი-მანჩესტერი | 3.25 | 3.50 | 2.22 |
| 02.11 სიტი-საუთჰემპტონი | 1.09 | 11.00 | 27.00 |
| 02.11 ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 1.86 | 3.60 | 4.30 |
| 02.11 შეფილდი-ბარნლი | 2.30 | 3.20 | 3.30 |
| 02.11 არსენალი-ვულვზი | 1.82 | 3.75 | 4.30 |
| 02.11 ბრაიტონი-ნორვიჩი | 1.77 | 3.90 | 4.40 |
| 02.11 ასტონ ვილა-ლივერპული | 8.20 | 5.00 | 1.38 |
| 02.11 უოტფორდი-ჩელსი | 4.85 | 4.00 | 1.69 |
| 03.11 კრ.პალასი-ლესტერი | 3.40 | 3.35 | 2.20 |
| 03.11 ევერტონი-ტოტენჰემი | 2.70 | 3.35 | 2.65 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 10 | 9 | 1 | 0 | 23-8 | 28 |
| 2.სიტი | 10 | 7 | 1 | 2 | 32-9 | 22 |
| 3.ლესტერი | 10 | 6 | 2 | 2 | 25-8 | 20 |
| 4.ჩელსი | 10 | 6 | 2 | 2 | 23-16 | 20 |
| 5.არსენალი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-14 | 16 |
| 6.კრ.პალასი | 10 | 4 | 3 | 3 | 10-12 | 15 |
| 7.მანჩესტერი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-9 | 13 |
| 8.შეფილდი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-8 | 13 |
| 9.ბორნმუთი | 10 | 3 | 4 | 3 | 13-13 | 13 |
| 10.ვესტ ჰემი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-14 | 13 |
| 11.ტოტენჰემი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-15 | 12 |
| 12.ვულვზი | 10 | 2 | 6 | 2 | 13-13 | 12 |
| 13ბარნლი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-15 | 12 |
| 14.ბრაიტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 15.ასტონ ვილა | 10 | 3 | 2 | 5 | 15-16 | 11 |
| 16.ევერტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-16 | 10 |
| 17.ნიუკასლი | 10 | 2 | 3 | 5 | 6-15 | 9 |
| 18.საუთჰემპტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-25 | 8 |
| 19.ნორვიჩი | 10 | 2 | 1 | 7 | 10-23 | 7 |
| 20.უოტფორდი | 10 | 0 | 5 | 5 | 5-21 | 5 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.11 ლაიფციგი-მაინცი | 1.39 | 5.00 | 7.75 |
| 02.11 ვერდერი-ფრაიბურგი | 2.04 | 3.60 | 3.55 |
| 02.11 ლევერკუზენი-გლადბახი | 2.05 | 3.65 | 3.50 |
| 02.11 აინტრახტი-ბაიერნი | 6.50 | 4.90 | 1.45 |
| 02.11 დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1.55 | 4.15 | 6.25 |
| 02.11 უნიონი-ჰერტა | 2.75 | 3.30 | 2.62 |
| 03.11 ფორტუნა-კიოლნი | 2.75 | 3.50 | 2.50 |
| 03.11 აუგსბურგი-შალკე | 3.80 | 3.65 | 1.95 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გლადბახი | 9 | 6 | 1 | 2 | 19-9 | 19 |
| 2.ბაიერნი | 9 | 5 | 3 | 1 | 24-11 | 18 |
| 3.ფრაიბურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 17-10 | 17 |
| 4.ვოლფსბურგი | 9 | 4 | 5 | 0 | 11-5 | 17 |
| 5.დორტმუნდი | 9 | 4 | 4 | 1 | 20-11 | 16 |
| 6.ლაიფციგი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-10 | 15 |
| 7.შალკე | 9 | 4 | 3 | 2 | 14-9 | 15 |
| 8.ლევერკუზენი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-13 | 15 |
| 9.აინტრახტი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-14 | 14 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-13 | 14 |
| 11.ჰერტა | 9 | 3 | 2 | 4 | 15-16 | 11 |
| 12.ვერდერი | 9 | 2 | 4 | 3 | 15-19 | 10 |
| 13.მაინცი | 9 | 3 | 0 | 6 | 10-19 | 9 |
| 14.ფორტუნა | 9 | 2 | 1 | 6 | 10-16 | 7 |
| 15.უნიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 9-15 | 7 |
| 16.აუგსბურგი | 9 | 1 | 4 | 4 | 10-21 | 7 |
| 17.კიოლნი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-19 | 7 |
| 18.პადერბორნი | 9 | 1 | 1 | 7 | 11-21 | 4 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.11 ესპანიოლი-ვალენსია | 2.80 | 3.10 | 2.75 |
| 02.11 ლევანტე-ბარსელონა | 8.00 | 5.50 | 1.35 |
| 02.11 სევილია-ატლეტიკო | 2.42 | 3.10 | 3.20 |
| 02.11 რეალი-ბეტისი | 1.32 | 5.80 | 8.50 |
| 03.11 ვალიადოლიდი-მალიორკა | 2.10 | 3.25 | 3.80 |
| 03.11 ვილიარეალი-ბილბაო | 1.92 | 3.40 | 4.30 |
| 03.11 ოსასუნა-ალავესი | 2.16 | 3.00 | 4.00 |
| 03.11 ლეგანესი-ეიბარი | 2.28 | 3.20 | 3.40 |
| 03.11 სელტა-ხეტაფე | 2.60 | 3.00 | 3.00 |
| 03.11 გრანადა-სოსიედადი | 3.00 | 3.15 | 2.52 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 10 | 7 | 1 | 2 | 28-11 | 22 |
| 2.რეალი | 10 | 6 | 3 | 1 | 21-9 | 21 |
| 3.გრანადა | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 5 | 5 | 1 | 11-6 | 20 |
| 5.სევილია | 11 | 6 | 2 | 3 | 14-12 | 20 |
| 6.სოსიედადი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-12 | 19 |
| 7.ვილიარეალი | 11 | 5 | 2 | 4 | 25-16 | 17 |
| 8.ბილბაო | 11 | 4 | 4 | 3 | 11-7 | 16 |
| 9.ხეტაფე | 11 | 4 | 4 | 3 | 17-15 | 16 |
| 10.ოსასუნა | 11 | 3 | 6 | 2 | 12-11 | 15 |
| 11.ვალიადოლიდი | 11 | 3 | 5 | 3 | 11-14 | 14 |
| 12.ლევანტე | 11 | 4 | 2 | 5 | 12-13 | 14 |
| 13.ვალენსია | 11 | 3 | 5 | 3 | 15-17 | 14 |
| 14.ეიბარი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-16 | 12 |
| 15.ალავესი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-14 | 12 |
| 16.ბეტისი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-21 | 12 |
| 17.მალიორკა | 11 | 3 | 2 | 6 | 9-15 | 11 |
| 18.სელტა | 11 | 2 | 3 | 6 | 6-14 | 9 |
| 19.ესპანიოლი | 11 | 2 | 2 | 7 | 5-18 | 8 |
| 20.ლეგანესი | 11 | 1 | 2 | 8 | 5-19 | 5 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.11 რომა-ნაპოლი | 2.75 | 3.30 | 2.62 |
| 02.11 ბოლონია-ინტერი | 3.50 | 3.50 | 2.10 |
| 02.11 ტორინო-იუვენტუსი | 6.50 | 3.90 | 1.57 |
| 03.11 ატალანტა-კალიარი | 1.34 | 5.30 | 8.80 |
| 03.11 ლეჩე-სასუოლო | 2.70 | 3.35 | 2.65 |
| 03.11 ჯენოა-უდინეზე | 1.98 | 3.45 | 3.95 |
| 03.11 ვერონა-ბრეშა | 2.16 | 3.20 | 3.65 |
| 03.11 ფიორენტინა-პარმა | 1.55 | 4.15 | 6.25 |
| 03.11 მილანი-ლაციო | 2.90 | 3.40 | 2.44 |
| 04.11 სპალი-სამპდორია | 2.65 | 3.25 | 2.75 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10 | 8 | 2 | 0 | 18-9 | 26 |
| 2.ინტერი | 10 | 8 | 1 | 1 | 22-10 | 25 |
| 3.ატალანტა | 10 | 6 | 3 | 1 | 30-16 | 21 |
| 4.რომა | 10 | 5 | 4 | 1 | 18-11 | 19 |
| 5.ლაციო | 10 | 5 | 3 | 2 | 22-10 | 18 |
| 6.ნაპოლი | 10 | 5 | 3 | 2 | 20-13 | 18 |
| 7.კალიარი | 10 | 5 | 3 | 2 | 16-10 | 18 |
| 8.ფიორენტინა | 10 | 4 | 3 | 3 | 15-13 | 15 |
| 9.პარმა | 10 | 4 | 1 | 5 | 15-14 | 13 |
| 10.მილანი | 10 | 4 | 1 | 5 | 10-13 | 13 |
| 11.ბოლონია | 10 | 3 | 3 | 4 | 14-15 | 12 |
| 12.ვერონა | 10 | 3 | 3 | 4 | 7-8 | 12 |
| 13.ტორინო | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 14.უდინეზე | 10 | 3 | 1 | 6 | 5-17 | 10 |
| 15.სასუოლო | 9 | 3 | 0 | 6 | 16-18 | 9 |
| 16.ლეჩე | 10 | 2 | 3 | 5 | 11-19 | 9 |
| 17.ჯენოა | 10 | 2 | 2 | 6 | 13-23 | 8 |
| 18.ბრეშა | 9 | 2 | 1 | 6 | 9-14 | 7 |
| 19.სპალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-17 | 7 |
| 20.სამპდორია | 10 | 1 | 2 | 7 | 6-19 | 5 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.11 მარსელი-ლილი | 2.32 | 3.20 | 3.30 |
| 02.11 ტულუზა-ლიონი | 4.40 | 3.65 | 1.82 |
| 02.11 ანჟე-სტრასბური | 2.14 | 3.10 | 3.90 |
| 02.11 ამიენი-ბრესტი | 1.80 | 3.60 | 4.65 |
| 02.11 ნიმი-რენი | 2.54 | 3.25 | 2.90 |
| 02.11 მეცი-მონპელიე | 2.70 | 3.00 | 2.90 |
| 03.11 ბორდო-ნანტი | 2.38 | 3.00 | 3.40 |
| 03.11 ნიცა-რეიმსი | 2.70 | 3.05 | 2.85 |
| 03.11 სტ.ეტიენი-მონაკო | 2.85 | 3.35 | 2.52 |

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 11 | 9 | 0 | 2 | 25-5 | 27 |
| 2.ნანტი | 11 | 6 | 1 | 4 | 9-7 | 19 |
| 3.ლილი | 11 | 5 | 3 | 3 | 17-11 | 18 |
| 4.რეიმსი | 11 | 5 | 3 | 3 | 9-4 | 18 |
| 5.ანჟე | 11 | 5 | 2 | 4 | 16-16 | 17 |
| 6.ბრესტი | 11 | 4 | 5 | 2 | 13-13 | 17 |
| 7.მარსელი | 11 | 4 | 4 | 3 | 12-15 | 16 |
| 8.ბორდო | 11 | 4 | 3 | 4 | 15-14 | 15 |
| 9.რენი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-12 | 15 |
| 10.მონპელიე | 11 | 4 | 3 | 4 | 9-8 | 15 |
| 11.მონაკო | 11 | 4 | 3 | 4 | 19-21 | 15 |
| 12.სტ.ეტიენი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-15 | 15 |
| 13.ლიონი | 11 | 3 | 4 | 4 | 16-9 | 13 |
| 14.ნიცა | 11 | 4 | 1 | 6 | 13-18 | 13 |
| 15.ამიენი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-17 | 13 |
| 16.ტულუზა | 11 | 3 | 3 | 5 | 13-19 | 12 |
| 17.სტრასბური | 11 | 3 | 3 | 5 | 7-12 | 12 |
| 18.ნიმი | 11 | 2 | 5 | 4 | 10-12 | 11 |
| 19.მეცი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-16 | 11 |
| 20.დიჟონი | 11 | 2 | 3 | 6 | 5-12 | 9 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

# გოგონა ნიანგს ზურგზე მოაჯდა და მეგობარი დაღუპვას გადაარჩინა



ზიმბაბვეს პროვინცია ჩრდილოეთ მატაბელელენდის ქალაქ ხვანგში მეექვსეკლასელმა გოგონამ მეგობარი ნიანგის ყბებში დაღუპვას გადაარჩინა.

მტაცებელი ცხრა წლის ლატოი მუვანს თავს იმ დროს დაესხა, როცა ის მეგობრებთან ერთად მდინარეში ბანაობდა. რეპტილიამ გოგონას კბილები ფეხში ჩაავლო და წყლის სიღრმისკენ წაიღო. ლატოის ყვირილი 11 წლის რებეკა მუნკომბვემ გაიგონა, რომელიც იმ დროისთვის უკვე ნაპირზე იმყოფებოდა.

— ჩვენ შორის ასაკით ყველაზე უფროსი მე ვიყავი, ამიტომ ვგრძნობდი, რომ სწორედ მე უნდა მეზრუნა მის გადარჩენაზე, — ამბობს რებეკა, — წყალში გადავხტი და მისკენ გავცურე.

გოგონა ნიანგს ზურგზე მოაჯდა და მუშტების ცემა დაუწყო, თითებს თვალებში ურჭობდა. რეპტილიამ ამ ყოველივეს ვერ გაუძლო, ყბები გახსნა, გოგონას პირი გაუშვა და იქაურობას გაეცალა.

რებეკამ მეგობარი ნაპირამდე მიათრია, სადაც სხვა ბავშვები მის წყლიდან ამოყვანაში დაეხმარნენ. ლატოი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მედდის თქმით, გოგონა სერიოზულ დაზიანებებს გადაურჩა და მხოლოდ მსუბუქი ტრავმები მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მსოფლიოს პირველი ჩემპიონი მამაკაცთა შორის; 2. რუსეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 3. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. სუპერმარკეტი თბილისში; 5. ეგვიპტელი ქრისტიანები; 10. ერთ-ერთი ხმა ქართულ მრავალხმიან სიმღერაში; 11. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის სუფრის ჯიში; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 16. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 17. მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 20. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად:** 6. გერმანიის პრეზიდენტი; 7. მდინარე ნიუ იორკში; 8. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 9. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 13. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 18. საფოსტო გზავნილი; 19. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 21. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 22. ამერიკული საიუველირო ფირმა; 23. ღვინის დუქანი ძველ თბილისში; 24. ირანის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვიგვამი; 2. პროტონი; 3. ალკენი; 4. წყრთა; 5. დელაკრუა; 7. კია; 11. ჩხიკვი; 15. ვოლიერი; 16. ჩანახი; 17. გონიო; 18. მზალო; 20. გინზა; 22. მახა.

**თარაზულად:** 6. იგრიკა; 8. არაბული; 9. წურბელა; 10. ვერსაჩე; 12. ტანკი; 13. არაკი; 14. მარიჯანი; 19. პალანგა; 21. ხორუმი; 23. ზურნა; 24. ჩიბუხი; 25. ტრუიზმი; 26. როულინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ცერცვაძე; 2. ოსასუნა; 3. ქლესა; 4. კაოლინი; 5. გერნიკა; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. ოპტანტი; 15. ფენოლოგია; 16. ღვინიო; 17. ფსირცხა; 20. გოეთე.

**თარაზულად:** 6. მეფისტოფელი; 7. ტანკერი; 8. არაჟანი; 9. ნაგანი; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. პარანომია; 19. ქსანი; 21. ტორტი; 22. კონცხი; 23. კარბონადო; 24. სპანიელი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ვანდა კახიძის გახსენება



ძნელია ჩემთვის იმ სიტყვების მოძებნა, რომელიც თავის სახელს დაარქმევდა იმ უსაზღვრო ტკივილს, რასაც განვიცდი. როგორ გინდა, შეეგუო იმ შემზარავ აზრს, რომ აღარ ფეთქავს სიყვარულის, სიკეთის, ჰუმანურობის, უდიდესი ზნეობისა და სულის მქონე ჭეშმარიტი ქართველი ქალის, ვანდა კახიძის გული. მასში ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს მეფური გარეგნობა, ფაქიზი ლირიკულობა, გულისხმიერება, ადამიანის ბუნებაში ღრმად წვდომის უნარი, რაც ღვთისგან ჰქონდა მინიჭებული.

დაობლდა საქმე, რომელსაც ქალბატონი ვანდა ემსახურებოდა იმ უდიდესი პასუხისმგებლობითა და შრომისმოყვარეობით, რაც კახიძეების ტრადიციულ ოჯახს ქვეყნისა და ქართული კულტურის წინაშე აკისრია. ჭეშმარიტი ხელოვანი თავისი საქმისთვის მართლაც მთლიანად დაიხარჯა. მისი ყოველი დღე ჯანსულ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის შემოქმედებით საქმეებზე ზრუნვით იწყებოდა და მთავრდებოდა. თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსი, პიანისტი, ერთგულად ედგა და გულშემატკივრობდა მეუღლესა და ვაჟიშვილს მათი მრავალრიცხოვანი, დატვირთული საკონცერტო მოღვაწეობის დროს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა, ღვაწლმოსილმა პიანისტმა და პედაგოგმა მრავალი თაობა აზიარა მაღალი დონის ხელოვნებას.

მასთან ურთიერთობისას აუცილებლად შეიგრძნობდი იმ ღვთიურ მადლს, ძალას, რომელსაც იგი ფლობდა შინაგანი ტაქტით. ყოველ ნაბიჯს გონივრულად გადადგამდა. სიკეთეს აკეთებდა გულის კარნახით, მოწოდებით, ჩუმად, ისე, როგორც დიდბუნებოვან ადამიანს სჩვევია.

ის გახლდათ ოჯახის დედაბოძი, ბრწყინვალე მეუღლე და დედა, შვილიშვილებსა და შვილთაშვილზე გადაგებული ბებია. ამასთანავე, შესანიშნავი დიასახლისი იყო, ერთგული დამცველი ქართული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისა.

მის გვერდით ყოფნა უსაზღვროდ გვიყვარდა, გვეამაყებოდა, გვეიმედებოდა, მიგვაჩნდა ქართველი ქალის ხატებად. ყოველთვის მადლს აშუქებდა და ირგვლივ მყოფთ თავის ქალურ კდემამოსილებას, სიდარბაისლეს, სითბოსა და სინაზეს უწილადებდა. მუდამ ღიმილიანი, მშვიდი, საოცრად მომხიბვლელი, მიმზიდველი, ბრძენი, რაღაც იდუმალიც, ბოლომდე უხვი. მართლაც, საიდან მოდის ეს სილამაზე და სად მიდის? ქრება? არა, არ ქრება, შთამომავლებში განსხეულდება, რომლებიც უზარმაზარი პასუხისმგებლობითა და რუდუნებით მიუყვებიან იმ ბილიკებს, თქვენი ლამაზი სიცოცხლის გაგრძელება რომ ჰქვია.

2 ნოემბერს ვანდა კახიძის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა.

უფალს ვთხოვ, ცათა სასუფეველში სამუდამოდ დამკვიდრებულმა მისმა ლამაზმა და ნათელმა სულმა დაგვლოცოს და გაგვაძლიეროს ზეციური საქართველოდან.

*ნინო ღიბრაძე*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9582

ევრო — 3.2960

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8303

100 რუსული რუბლი — 4.6251

## ამინდის პროგნოზი 2 ნოემბერი




## ნაეკლესიარი ტრაქტორით გადათხარეს ტერიტორიაზე ადამიანების ძვლები ყრია



ტრაქტორით გადათხრილ ნაეკლესიარზე, რომელიც სოფლებს უდესა და ზაზალოს შორის, წყისეს ნასოფლარიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს, ადამიანის ძვლებია მიმოფანტული.

ინფორმაცია გიო ჩილინგარაშვილმა გაავრცელა:

– სოფლებს უდესა და ზაზალოს შორის, წყისეს ნასოფლარიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს ეს ნაეკლესიარი, ზუსტი ტოპონიმი არ ვიცი, მწყემსები კი „ნასაყდრალს" ეძახიან. რამდენიმე დღის წინ დაზვერვებზე ერთმა მწყემსმა მითხრა, ტრაქტორი თხრიდაო, მეც დაფეთებული გავვარდი და ეს სურათი დამხვდა, აშკარად ეტყობა ჩვენი წმინდა ეკლესიის ხელწერა.

როგორც ჩანს, ეკლესიის აღდგენა განუზრახავთ. ამისთვის ჯერ პირველი ნაბიჯები გადაუდგამთ და სასმელი წყალი მიუყვანიათ. მთელი ტერიტორია ტრაქტორით არის გადათხრილი და ზედაპირზეა ამოყრილი მოჭიქული, მოუჭიქავი, მოხატული, შეღებილი და სადა კერამიკა.

მიმოფანტულია ადამიანის ძვლები, ნაწილი შეუგროვებიათ ხის ყუთში! ეკლესიასთან ახლოს ორმოა გაკეთებული, სადაც ჭრილში ჩანს ნაცროვანი ფენა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 2 ნოემბრისათვის

**ვერძი** – დროის უმეტეს ნაწილს საოჯახო საქმეების მოგვარებას ანდომებთ. გეგმები გეცვლებათ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ. **კურო** – ყველაფერს მოასწრებთ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ. თამამად იმოქმედეთ და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ. **ტყუპები** – თუ შეცდომა დაუშვით, აღიარეთ კიდეც. პარტნიორს იოლად ნუ მიენდობით. რეალობას თვალი გაუსწორეთ. **კირჩხიბი** – თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ და, ამასთანავე, რეალობის აღქმას არ დაკარგავთ, შანსი მოგეცემათ, თქვენი ჩანაფიქრი სრულად განახორციელოთ. პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება გელით. **ლომი** – თავგადასავლებს ნუ ეძებთ. მიწაზე დაეშვით და იმ საქმით დაკავდით, რომელიც ამ ეტაპზე თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ჯანმრთელობას მიხედეთ. **ქალწული** – დროის უმეტეს ნაწილს საოჯახო საქმეების მოგვარებას ანდომებთ. გეგმები გეცვლებათ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის ახლობლებს მიმართეთ. **სასწორი** – ჰარმონიული და გაწონასწორებული დღეა. ძალიან მოგიხდებათ ფიზიკური დატვირთვა, ფიტნესი, ცურვა. დღის მეორე ნახევარში თამამად შეუდექით ჩანაფიქრის განხორციელებას. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **ღრიანკალი** – თქვენი ეჭვიანი ბუნება ხელს გიშლით ყველაზე რეალური გეგმების განხორციელებაშიც კი. იყავით უფრო მიმნდობი და გჯეროდეთ ადამიანების. **მშვილდოსანი** – თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ და, ამასთანავე, რეალობის აღქმას არ დაკარგავთ, შანსი მოგეცემათ, თქვენი ჩანაფიქრი სრულად განახორციელოთ. ძალზე მშვიდი და ჰარმონიული დღეა. **თხის რქა** – ხელმძღვანელობა ცუდი თვალით გიყურებთ. როგორც ჩანს, სადღაც შეცდომა დაუშვით. სანამ დროა, იზრუნეთ მის გამოსწორებაზე. შენიშვნას ნუ დაიმსახურებთ. **მერწყული** – ყველანაირად აარიდეთ თავი ახალ ნაცნობებს, ნუ იაქტიურებთ. კომერციული ოპერაციები დღეს დაუშვებელია. **თევზები** – ფრთხილად იყავით, რისკი გამართლებული არ არის, თუმცა დღეს, შესაძლოა, ოცნება აგიხდეთ. მიხედეთ ჯანმრთელობას.

### 3 ნოემბრისათვის

**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი კეთილისმყოფელია მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, კომერციული საქმიანობისათვის, თუმცა დიდი წინდახედულობის გამოჩენა გმართებთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კურო** – დღეს გელით საინტერესო კონტაქტები და შეხვედრები. გათავისუფლდით ნეგატიური ემოციებისა და დაგროვილი საქმეებისაგან. **ტყუპები** – საკმაოდ მძიმე დღეა. ნებისმიერ ადამიანებთან ურთიერთობისას კეთილგონიერი იყავით. ზედმეტი ემოციები კონფლიქტს გამოიწვევს. **კირჩხიბი** – მცირედი კამათი გელით გარშემომყოფებთან. მოთმინებითა და სულგრძელობით კონსენსუსს მიაღწევთ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლა რეკომენდებულია. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით, ოღონდ ფულს ნუ გაფლანგავთ. **ქალწული** – იმედი გაგიცრუვდებათ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვასა და კოლექტიურ საქმიანობას. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. **სასწორი** – სახიფათო დღეა. მაქსიმალური შორსმჭვრეტელობა და წინდახედულობა უნდა გამოავლინოთ, რათა არ დაზარალდეთ. **ღრიანკალი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. სიჯიუტესა და პრინციპულობას სასიკეთო შედეგი არ მოჰყვება. საკუთარი ძალები რეალურად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – შესაფერისი პერიოდია შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად, თუმცა ვარსკვლავები ფიზიკური დატვირთვისა და კოლექტიური საქმიანობისაგან თავის შეკავებას გირჩევენ. **თხის რქა** – სიტუაციის მცდარი შეფასება და პარტნიორისადმი მეტისმეტი ნდობა ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. ეცადეთ, ეს დღე ჰარმონიასა და თანხმობაში გაატაროთ. **მერწყული** – ექსტრავაგანტულობისა და ორიგინალობის მოყვარულებს ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. თქვენი მდიდარი შინაგანი სამყარო ახალი შეგრძნებებითა და საინტერესო მიგნებებით გაჯერდება. **თევზები** – იყავით მიმნდობი, მიმტევებელი, ალერსიანი და საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ცოლი ქმარს სექსის წინ ეუბნება:

– ვინც პირველი დაამთავრებს, ჭურჭელსაც ის გარეცხავს.

– აი მესმის მოტივაცია!

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– წუხელის ჩემი ქმარი მთვრალი მოვიდა. გაიხადა. სიჩუმეა. არც ის იღებს ხმას, არც მე. ასე გავიდა 10 წუთი და უცბად იღრიალა: „დაიყვირე მაინც შე შობელძაღლო, საწოლს რომ მოვაგნო!!!"

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მართალია, რომ ბევრი საყვარელი გყავდათ?

– არა, არც ერთს არ ვყვარებივარ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა დაგვემართებოდა, თუ აღარ ვიქნებოდით ძუნწები, ხარბები, შურიანები, ნაძირალები, მოღალატეები და ვიქნებოდით ერთგულები, შევძლებდით გულწრფელ მეგობრობასა და სიყვარულს?

– ამოგვივიდოდა ბეწვები, გაგვეზრდებოდა კუდი და ძაღლებად გადავიქცეოდით.

●●●

რკინიგზის სადგურის ბაქანზე მამაკაცი დადის და იძახის:

– აბა გაზეთები, ჟურნალები, ეროტიკა, ჰოროსკოპები, კროსვორდები, ანეკდოტები.

ერთ-ერთმა ბაქანზე მდგომმა ორმოცდაათთეთრიანი მიაწოდა და ეუბნება:

– ანეკდოტები, თუ შეიძლება.

გამყიდველმა ფული ხელში შეატრიალა, მერე ჯიბეში ჩაიდო და დაიწყო:

– ასე, მომისმინე, ქმარი მივლინებიდან ბრუნდება...

გაოცებისგან პირდაღებული მამაკაცი:

– კიდევ კარგი, ეროტიკა არ ავიღე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჟერარ პიკე: „კლასიკო არ უნდა გადადებულიყო"



ბარსელონას მცველმა ჟერარ პიკემ გადადებულ ელ-კლასიკოზე ისაუბრა და თქვა, რომ ამის აუცილებლობა არ იყო.

პიკეს აზრით, ზოგჯერ პრობლემას ზედმეტად ამუქებენ და სინამდვილეში ეს პრობლემა არ არსებობს:

– არ მესმის, რატომ გადაიტანეს რეალთან მატჩი. ვფიქრობ, არაფერი განსაკუთრებული არ მოხდებოდა, უბრალოდ, ზოგჯერ ვამუქებთ პრობლემებს, რომლებიც არ არის. გულშემატკივარმა შესანიშნავი მატჩის ნახვა ვერ მოახერხა.

ბარსელონა-რეალის დაპირისპირება პოლიტიკური მიზეზების გამო გადაიდო და ის 18 დეკემბერს ჩატარდება.

## ისკოს შეძენა არსენალს სურს



ლონდონის არსენალი მადრიდის რეალის ნახევარმცველით ისკო ალკორკონით დაინტერესდა, რომელიც რეალში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

ისკოს შეძენა რამდენიმე იტალიურ გუნდს სურდა, მაგრამ ეს ტრანსფერები ჩაიშალა და ამჯერად ისკოს ინგლისური ვარიანტი გამოუჩნდა.

არსენალი მზად არის, 50 მილიონი გადაიხადოს, თუმცა რეალს ეს თანხა არ აკმაყოფილებს და 70 მილიონს ითხოვს.

ისკომ შესაძლოა სამეფო კლუბი უკვე იანვარში დატოვოს.

## იუვენტუსი ზალცბურგის ფორვარდით დაინტერესდა



იუვენტუსი ზალცბურგის 19 წლის ფორვარდით ერლინგ ჰოლანდით დაინტერესდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 3 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა.

ჰოლანდი ნორვეგიელია და ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფორვარდად ითვლება. იუვენტუსი მზად არის მის ტრანსფერში 35 მილიონი გადაიხადოს, მაგრამ ზალცბურგი გაცილებით მეტს ითხოვს.

ჰოლანდის ყიდვა სხვა გრანდებსაც სურთ, მათ შორის არიან რეალი, ბარსელონა და მანჩესტერ სიტი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კიმ კარდაშიანმა საკუთარი ბრენდის ნაწარმის მორიგი სარეკლამო ფოტო გამოაქვეყნა



რეალიტი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის" მონაწილემ, მეწარმე კიმ კარდაშიან-უესტმა ინსტაგრამში თავის გვერდზე გამოაქვეყნა ახალი ფოტოსურათი, რომელშიც ის საკუთარი ბრენდის მიერ გამოშვებულ კორექტირებად თეთრეულშია გამოწყობილი.

სურათზე ტელევარსკვლავი ბამბისგან დამზადებულ შავ კომპლექტს წარმოადგენს. ის სახით კამერისკენ სავარძლის ზურგზე მჯდომია აღბეჭდილი. სურათის კომენტარში კარდაშიანმა დაწერა, რომ მთელი რეკლამირებული პროდუქცია უკვე გაყიდულია, თუმცა იქვე მომხმარებლებს დაჰპირდა, რომ ერთდღეში ბრენდის გვერდზე ახალი პარტია გამოჩნდება.

ამ ახალმა ამბავმა კარდაშიანის თაყვანისმცემლები გაახარა და მათ ის შესანიშნავი გარეგნობისთვის შეაქეს.

– კომფორტული საცვლებია, მადლობა, კიმ, – აღნიშნა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– შთამბეჭდავად გამოიყურები, ასე ახალგაზრდულად. ჩემი კერპი ხარ, – აღფრთოვანება არ დამალა მეორემ.

– ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარხარ. მადლობა იმ ყველაფრისთვის, რასაც შენ აკეთებ, – დაწერა კომენტარში მესამემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ხატია შამუგიას მანქანა ჩამოართვეს



ტელეწამყვან ხატია შამუგიას კუთვნილი მანქანა ჩამოართვეს. თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ ხატიას მანქანა საჯარიმოზე გადაიყვანა:

– მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ავტომობილები აღარ მიჰყავთ!

თბილისის სატრანსპორტო კომპანია – ლავ იუ.

3 წუთით გავაჩერე და მოვარდნენ, ფულია შესატანი ბიუჯეტშიო.

ჯერ ხომ უნდა დარეკო და გადააყენებინო და მერე მოეთრე წასაყვანად, არა?

## ლიკა ქავჟარაძე 60 წლის გახდებოდა



ქართული კინოს მშვენება ლიკა ქავჟარაძე 60 წლის გახდებოდა. მისი იუბილე უახლოესმა მეგობრებმა მოკრძალებულად აღნიშნეს.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობს ბევრ ფილმში მონაწილეობა არ მიუღია, ის მაყურებელმა მაინც განსაკუთრებულად შეიყვარა. მისი შემოქმედების სავიზიტო ბარათად კი თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში" განსახიერებული მარიტა გახდა.

ლიკა ქავჟარაძე 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. მადლიერმა მაყურებელმა მისთვის სახელობითი ვარსკვლავის გახსნა ვერ მოასწრო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 2. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 3. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 4. სისხლისა და ლიმფისგან დამზადებული ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 7. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 11. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 15. ქალაქი იმერეთში; 16. პატარა კაფე საფრანგეთში; 17. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროკაცის" ავტორი; 18. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 20. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. გემის სიჩქარისა და განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო.

**თარაზულად:** 6. ქართული სადაზღვევო კომპანია; 8. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 9. ელექტროგენერატორის უძრავი ნაწილი; 10. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 12. მღრღნელი ჭია-მატლის საერთო სახელწოდება; 13. ამერიკელთა მეტსახელი; 14. მდინარე ბოლნისში; 19. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 21. პატარა დასახლებული პუნქტი; 23. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 24. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 25. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 26. მოძღვრება რელიგიის შესახებ.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*